იურიდიული პრაქტიკის პროგრამები საქართველოში

შეფასება და რეკომენდაციები

თბილისი, 2019

წინამდებარე კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, შეხედულებებს.

კვლევის ავტორი: **ნათია ხანთაძე**
კვლევის თანაშემწე: **ელენე ჯანელიძე**

სარჩევი

იურიდიული პრაქტიკის პროგრამები საქართველოში 5

შეფასება და რეკომენდაციები 5

1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია 5

1.1 კვლევის ზოგადი მიზანი 5

1.2 კვლევის მეთოდოლოგია 6

1.2.1 კვლევის სამიზნე ჯგუფები და მათი შერჩევის კრიტერიუმები 7

1.2.2. უნივერსიტეტების წარმომადგენლების შერჩევა 8

1.2.3. დამსაქმებლების წარმომადგენლების შერჩევა 10

1.2.4. ფოკუს ჯგუფების შეხვედრების და ჩაღრმავებული ინტერვიუების თანმიმდევრობა 11

1.2.5. სამაგიდო კვლევა 11

2. იურიდიული პრაქტიკა: სიტუაციის აღწერა 13

2.1 იურიდიული პრაქტიკის საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულირება 13

2.1.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მიმართ მოქმედი აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტი 13

2.1.2. კვალიფიკაციათა ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნები 16

2. 2. იურიდიული პრაქტიკა უნივერსიტეტებში 17

2.2.1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 18

2.2.1.1. კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები 18

2.2.1.2. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი 19

2.2.2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი 21

2.2.2.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები 21

2.2.2.2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი 22

2.2.3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 24

2.2.3.1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები 24

2.2.3.2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი 25

2.2.4. კავკასიის უნივერსიტეტი 27

2.2.4.1. კავკასიის უნივერსიტეტის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები 27

2.2.4.2. კავკასიის უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი 27

2.2.5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) 29

2.2.5.1. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები 29

2.2.5.2. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის იურიდიული პრაქტიკის კურსი 30

2.3. იურიდიული პრაქტიკა და სტაჟირების პროგრამები საჯარო სექტორში 32

2.3.1. იურიდიული პრაქტიკა სასამართლოში 32

2.3.1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 32

2.3.1.2. საქართველოს უზენაესი სასამართლო 34

2.3.1.3. საერთო სასამართლოები 35

2.3.2. იურიდიული პრაქტიკა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 37

2.3.3. იურიდიული პრაქტიკა საქართველოს პროკურატურაში 38

2.3.4. იურიდიული პრაქტიკა სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში 41

2.3.5. იურიდიული პრაქტიკა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში 43

2.4. იურიდიული პრაქტიკა და სტაჟირების პროგრამები კერძო სექტორში 44

2. 5. იურიდიული პრაქტიკის სხვა პროგრამები 45

3. საუკეთესო პრაქტიკა **47**

3.1.უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის იურიდიული პრაქტიკის კურსი 47

3.2. საქართველოში არსებულ იურიდიული პრაქტიკის კურსებთან შედარება 51

4. ძირითადი მიგნებები **54**

5. შეფასება და რეკომენდაციები **57**

5.1.იურიდიული პრაქტიკის კურსის საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულირება 57

5.2.უნივერსიტეტების იურიდიული პრაქტიკის კურსების შეფასება და რეკომენდაციები 59

5.2.1. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების კურსების შეფასება და რეკომენდაციები შემდგომი განვითარებისთვის *59*

5.2.2. იურიდიული პრაქტიკის კურსების შეფასება და რეკომენდაციები შემდგომი განვითარებისთვის *63*

6. დანართები **70**

იურიდიული პრაქტიკის პროგრამები საქართველოში

შეფასება და რეკომენდაციები

1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის ზოგადი მიზანი

კვლევის ზოგადი მიზანია საქართველოში იურიდიული პრაქტიკის კურსებისა და საჯარო დაწესებულებებსა და კერძო ორგანიზაციებში არსებული იურიდიული პრაქტიკის პროგრამების შესწავლა, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და საბაკალავრო პროგრამების იურიდიული პრაქტიკის კურსების განვითარებისთვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია სამართლის საბაკალავრო პროგრამების იურიდიული პრაქტიკის კურსებზე. ეს განპირობებულია გარემოებით, რომ ერთი მხრივ იურიდიულ პროფესიებში შესვლა ბაკალავრის აკადემიური ხარისხით არის შესაძლებელი, იმ დაშვებით, რომ იურიდიული განათლების მქონე პირმა წარმატებით დაძლია შესაბამის პროფესიაში შესასვლელი გამოცდა/პროგრამა, მეორე მხრივ, კი საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებში იურიდიული პრაქტიკის კურსები უმეტესად სამაგისტრო პროგრამებშია ინტეგრირებული და ამდენად იურიდულ პროფესიაში შესვლისას სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებს არ აქვთ რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილება, და პროფესიის დაწყებისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც კურსდამთავრებულებისთვის არსებითად ართულებს პროფესიაში წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს.

იურიდიული პრაქტიკის კურსებში იგულისხმება სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტს უნივერსიტეტის კამპუსის გარეთ, რეალურ სამუშაო გარემოში იურიდიული განათლების მიღების შესაძლებლობებს სთავაზობს. ეს კურსები თვისებრივად განსხვავდება სამართლის კლინიკის კურსებისგან, რომლებიც უნივერსიტეტის კამპუსზე ფუნქციონირებს. იურიდიული პრაქტიკის კურსები ასევე შეიძლება მოიცავდეს სტაჟირებასაც, ესეიგი სტუდენტის მიერ ისეთი პროფესიული საქმიანობის გამოცდილებას, რომელიც მისი ბუნებით შრომითი ურთიერთობის მსგავსია და რომელიც სტუდენტს შეიძლება შრომით სტაჟში ჩაეთვალოს. იურიდიული პრაქტიკის კურსები შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკას და სტაჟირებასაც.

იურიდიული პრაქტიკის კურსში მიღებული გამოცდილება სტუდენტს ეხმარება პროფესიული და კარიერული ინტერესების უკეთესად ფორმირებაში და საბოლოოდ უადვილებს მომავალი საქმიანობის, მისი ინტერესების და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით სწორად შერჩევას, ისევე როგორც

პრაქტიკის ხელმძღვანელისგან მიღებული დახასიათება და პრაქტიკაზე შეძენილი პროფესიული კონტაქტები სტუდენტს ეხმარება დასაქმებაში.

იურიდიული პრაქტიკის კურსების განვითარება სამართლის საბაკალავრო პროგრამების საფეხურზე მნიშვნელოვანია ასევე პროფესიულ გამოცდებზე სტუდენტების წარმატების შესაძლებლობების გაზრდისთვისაც, რადგან იურიდიული პრაქტიკა სტუდენტებს ეხმარება პროფესიის თავისებურებებში გარკვევასა და პროფესიული გამოცდებისთვის უკეთ მომზადებაში.

ამასთან იურიდიული პრაქტიკის კურსების საბაკალავრო პროგრამებში განვითარება სტუდენტებს დასაქმების ახალ შესაძლებლობებსაც უხსნის. მაგალითად, ეხმარება მათ სამართლის ვიწრო სპეციალიზაციით დასაქმებაში, დასაქმების ისეთ სფეროებში სადაც პროფესიაში შესვლა განსაკუთრებით რთულია საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ. კერძოდ, თუ სტუდენტი საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში გაივლის იურიდიულ პრაქტიკას, ის შეიძენს პროფესიულ კავშირებს და შესაბამისი სამართლის სპეციფიკური სფეროს ცოდნას. ეს კი მას გაუმარტივებს დასაქმების ისეთ სპეციფიკურ სფეროში შესვლას, როგორიც არის მაგალითად ტელეკომუნიკაციების სამართლის სფერო.

1.2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ზოგადი მიზნიდან გამომდინარე, რაც პირველ რიგში არსებული კურსების და პროგრამების შესწავლას და შეფასებას გულისხმობს, განისაზღვრა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- უნივერსიტეტები;
- დამსაქმებლები.

კლევის ფარგლებში მოხდა სამართლის საბაკალავრო პროგრამებში არსებული იურიდიული პრაქტიკის კურსების შესწავლა და ანალიზი, ასევე უნივერსიტეტების კურსების გარდა შესწავლილი იქნა საჯარო და კერძო სექტორში არსებული იურიდიული პრაქტიკის პროგრამები. კვლევის პირველ ეტაპზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია საქართველოში მოქმედი აკრედიტებული სამართლის საბაკალავრო პროგრამების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამართლის საბაკალავრო პროგრამების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად, მოხდა შესაბამის უნივერსიტეტებთან დაკავშირება. კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. შესაბამისად, კვლევაში ჩაერთნენ მხოლოდ იმ უნივერსიტეტების წარმომადგენლები, რომლებიც კვლევაში მონაწილეობის ოფიციალურ მოწვევას გამოეხმაურნენ და მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლების პირველადი გამოკითხვის საფუძველზე კვლევის პირველ ეტაპზე დადგინდა, რომ კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების ძალიან მცირე ნაწილს აქვს სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის კურსები საბაკალავრო საფეხურზე და შესაბამისად სტუდენტების დიდ ნაწილს არ აქვს იურიდიულ პრაქტიკაში მონაწილეობის გამოცდილება. ამასთან, იურიდიული პრაქტიკის კურსების განვითარება უპირატესად უნივერსიტეტებისა და ამ პროცესში ჩართული და დაინტერესებული დამსაქმებელი ორგანიზაციების ძალისხმევით იქნება შესაძლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის ფარგლებში სტუდენტები არ განისაზღვრნენ ძირითად ფოკუს ჯგუფად.

1.2.1 კვლევის სამიზნე ჯგუფები და მათი შერჩევის კრიტერიუმები

კვლევაში მონაწილე სამიზნე ჯგუფები შეირჩა მათი სპეციფიკის შესაბამისად განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. კვლევის მიზნიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო მოქმედი და შედარებით მდგრადი სამართლის საბაკალავრო პროგრამების შესწავლა. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად ერთი მხრივ განისაზღვრა მინიმუმ უკანასკნელი 4 წლის მანძილზე აკრედიტებული და მოქმედი საბაკალავრო პროგრამის უწყვეტი ფორმით არსებობის პირობა, მეორე მხრივ კი აუცილებელად ჩაითვალა მოქმედი აკრედიტებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის არსებობა, რომელსაც მინიმუმ ბოლო ორი წლის (2017-2018) მანძილზე ყავდა კურსდამთავრებულები.

შესაბამისად, უნივერსიტეტების შერჩევის კრიტერიუმები იყო:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე უწყვეტად **ჩარიცხული სტუდენტების არსებობა** ერთი სასწავლო ციკლის პერიოდში, რომელიც მოიცავს 4 კალენდარულ წელს, კერძოდ კი 2015-2018 წლებში;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის **კურსდამთავრებულების უწყვეტად არსებობა** ბოლო ორი კალენდარული წლის პერიოდში, კერძოდ 2017-2018 წლებში,
- უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაში იურიდიული პრაქტიკის კურსის სავალდებულო ან არჩევითი კურსის ფორმით არსებობა;

მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე კვლევაში მონაწილეობის თხოვნით მოხდა შესაბამის უნივერსიტეტებთან დაკავშირება. კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. შესაბამისად, კვლევაში ჩაერთნენ მხოლოდ იმ უნივერსიტეტების წარმომადგენლები, რომლებიც კვლევაში მონაწილეობის ოფიციალურ მოწვევას გამოეხმაურნენ და მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა უნივერსიტეტებმა:

მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული უნივერსიტეტები

კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტები
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი
შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 11-ივე უნივერსიტეტმა. აქედან, ოთხი - სახელმწიფო, და შვიდი კერძო უნივერსიტეტია, ხოლო ოთხი სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ორი რეგიონული უნივერსიტეტია.

1.2.2. უნივერსიტეტების წარმომადგენლების შერჩევა

შერჩეული უნივერსიტეტებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, რომლებიც საბაკალავრო პროგრამების იურიდიული პრაქტიკის კურსებს კურირებენ. სულ კვლევაში 11-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათთან წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე ჩატარდა პირველადი გამოკითხვა.

პირველადი გამოკითხვის მიზანი იყო იურიდიული პრაქტიკის კურსების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოძიება. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ იურიდიული პრაქტიკის სავალდებულო სასწავლო კურსი გამოკითხვაში მონაწილე მხოლოდ 3 უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაში არსებობს. კერძოდ ეს უნივერსიტეტებია:

სავალდებულო იურიდიული პრაქტიკა სამართლის საბაკალავრო პროგრამაში
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

გამოკითხვის შედეგად ასევე დადგინდა, რომ გამოკითხვაში მონაწილე მხოლოდ 2 უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაში არსებობს იურიდიული პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი. ეს უნივერსიტეტებია:

არჩევითი იურიდიული პრაქტიკა სამართლის საბაკალავრო პროგრამაში
კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

სრული სურათის აღქმის მიზნით გამოკითხვა ასევე ეხებოდა შესაბამის 11 უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებში იურიდიული პრაქტიკის კურსებს. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ იურიდიული პრაქტიკის სავალდებულო სასწავლო კურსი გამოკითხვაში მონაწილე 8 უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაში არსებობს. ეს უნივერსიტეტებია:

სავალდებულო იურიდიული პრაქტიკა სამართლის სამაგისტრო პროგრამაში
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველოს უნივერსიტეტი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
გორის სახელწიფო უნივერსიტეტი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხოლო იურიდიული პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი გამოკითხვაში მონაწილე 3 უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაში არსებობს.

არჩევითი იურიდიული პრაქტიკა სამართლის სამაგისტრო პროგრამაში
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თვისებრივი კვლევის მეორე ეტაპზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის იურიდიული პრაქტიკის კურატორ ადმინისტრაციის თანამშრომლებთან გაიმართა ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუები. კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუები გაიმართა ხუთივე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ჩაღრმავებული ინტერვიუები წარიმართა წინასწარ მომზადებული კითხვარის საფუძველზე (იხ. დანართი N 13) რომელიც ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- იურიდიული პრაქტიკის მიზნები;
- იურიდიული პრაქტიკის შედეგები;
- იურიდიული პრაქტიკის შინაარსი;
- იურიდიული პრაქტიკის შესახებ სტუდენტების ინფორმირება;
- იურიდიული პრაქტიკის კურსში მონაწილეობის წინაპირობები;

- იურიდიული პრაქტიკის კურსში სტუდენტის შრომის შეფასება;
- იურიდიული პრაქტიკის კურსის ორგანიზაციული მხარე;

თითოეული ინტერვიუსთვის გამოყოფილი იყო წინასწარ განსაზღვრული დრო, 60-90 წუთი. მიმდინარეობდა ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩაწერა და შემდეგ კი ინტერვიუების დეტალური ანალიზი.

1.2.3. დამსაქმებლების წარმომადგენლების შერჩევა

იურიდიული პრაქტიკის შესახებ თვისებრივ კვლევაში ასევე მიიღეს მონაწილეობა დამსაქმებლების წარმომადგენლებმა. კერძოდ, შეიქმნა ორი ფოკუს ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები.

საჯარო სექტორში სამართლის პროგრამების კურსდამთავრებულების ყველაზე მსხვილი დამსაქმებლების ჩართვის მიზნით, დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- საქართველოს პროკურატურა
- საქართველოს უზენაესი სასამართლო
- საქართველოს საკონსტიტუტციო სასამართლო
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- საჯარო სამსახურის ბიურო
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

კერძო სექტორიდან სამართლის პროგრამების კურსდამთავრებულების ძირითადი დამსაქმებლები იურიდიული კომპანიები არიან. ამიტომ დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- იურიდიული კომპანია LPA
- საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია
- იურიდიული კომპანია MG Law
- საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის PWC-ის იურიდიული ბიურო
- საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის EY-ის იურიდიული მიმართულება
- არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“

ორივე ფოკუს ჯგუფთან წინასწარ მომზადებული კითხვარის საფუძველზე (იხ.დანართი N 12) გაიმართა ორი შეხვედრა, სადაც განხილული იქნა შემდეგი თემები.

- იურიდიული პრაქტიკის მიზნები;
- იურიდიული პრაქტიკის შედეგები;
- იურიდიული პრაქტიკის შინაარსი;
- იურიდიული პრაქტიკის შესახებ სტუდენტების ინფორმირება;
- იურიდიული პრაქტიკის კურსში მონაწილეობის წინაპირობები;

- იურიდიული პრაქტიკის კურსში სტუდენტის შრომის შეფასება;
- იურიდიული პრაქტიკის კურსის ორგანიზაციული მხარე;

თითოეული შეხვედრისთვის გამოყოფილი იყო წინასწარ განსაზღვრული დრო, მინიმუმ 2 საათი. მიმდინარეობდა ფოკუს ჯგუფთან შეხვედრის ჩაწერა და შემდეგ კი შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებების დეტალური ანალიზი.

1.2.4. ფოკუს ჯგუფების შეხვედრების და ჩაღრმავებული ინტერვიუების თანმიმდევრობა

პირველ ეტაპზე ჩატარდა ზოგადი გამოკითხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან, მეორე ეტაპზე კი უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამის იურიდიული პრაქტიკის კურატორებთან გაიმართა ჩაღრმავებული ინტერვიუები. კვლევის მესამე ეტაპზე გაიმართა შეხვედრები დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კერძო და საჯარო სექტორიდან. ამ შეხვედრების მიზანი იყო უნივერსიტეტების მიღმა არსებული იურიდიული პრაქტიკის პროგრამების საერთო სურათის აღქმა და ასევე უნივერსიტეტებთან უკვე არსებული თანამშრომლობის გამოცდილების ანალიზი.

1.2.5. სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტებისა და კერძო და საჯარო დაწესებულებების იურიდიული პრაქტიკის არსებული რეგულირების, შინაარსისა და ორგანიზების ფორმების შესწავლა. სამაგიდო კვლევის ფარგლებში მოხდა იურიდიული პრაქტიკის (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტით განსაზღვრული პრაქტიკული განათლების და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის ფარგლებში) საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულირების შესწავლა. უნივერსიტეტების სამართლის საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში მოხდა პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარების კურსებისა და კერძოდ იურიდიული პრაქტიკის კურსების მომაწესრიგებელი დოკუმენტების შესწავლა (კურიკულუმი, სილაბუსი და სილაბუსების დანართები). ასევე, მოხდა სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის საჯარო სექტორში არსებული იურიდიული პრაქტიკისა და სტაჟირების პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლა.

შესწავლილი დოკუმენტების ჩამონათვალი:

- შერჩეული უნივერსიტეტების სამართლის 2018-2019 აკადემიური წლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმები და სასწავლო გეგმები;
- შერჩეული უნივერსიტეტების 2018-2019 აკადემიური წლის იურიდიული პრაქტიკის კურსების სილაბუსები და დანართები;
- შერჩეული უნივერსიტეტების იურიდიული პრაქტიკის პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი;
- საქართველოს პროკურატურის ინფორმაცია სტაჟირების პროგრამის საფუძველზე სტუდენტების დასაქმების სტატისტიკის შესახებ;

- მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები:
  - საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ“
  - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 2011 წლის 1 ივნისის ბრძანება N 224;
  - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის 2017 წლის 1 ნოემბრის ბრძანება N ს/44;
  - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2007 წლის 2 ოქტომბრის # 21-ს § ბრძანება;
  - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის №80 ბრძანება;
  - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №43;
  - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის დადგენილება №410
  - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება N 1/251;

2. იურიდიული პრაქტიკა: სიტუაციის აღწერა

2.1 იურიდიული პრაქტიკის საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულირება

სამართლის საბაკალავრო პროგრამები, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათზე ვრცელდება პროგრამის აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტები და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი. წინამდებარე თავი განიხილავს პრაქტიკული უნარების განვითარებისკენ მიმართული სასწავლო კომპონენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები ზოგადი ხასიათისაა და შესაბამისად იურიდიული პრაქტიკის მხოლოდ ზოგად ჩარჩოს ქმნის.

2.1.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მიმართ მოქმედი აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტი

სამართლის საბაკალავრო პროგრამების მიმართ მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტები, რომლებიც დადგენილია საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანებით №65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ“, კერძოდ ამ ბრძანების N 3 დანართით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“-ს შესახებ.

სტანდარტი აწესრიგებს საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადად პრაქტიკული უნარების განვითარების საკითხს და ადგენს მის ზოგად მიზანს, მიზნის მიღწევის ზოგად კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს.[1]

სტანდარტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უნდა იყოს „სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარება“.[2] ამ ზოგადი მიზნის მიღწევის კრიტერიუმებია:

- პროგრამის საფეხურის შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავება;
- პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვა და ორგანიზება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
- პრაქტიკის პერიოდში სტუდენტის საქმიანობის ხელმძღვანელობა შესაბამისი დარგის კვალიფიციური პირის მიერ, რომელიც შეაფასებს მის საქმიანობას;

[1] დეტალურად იხილეთ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ“, კერძოდ ამ ბრძანების დანართი N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“-ს შესახებ, პუნქტი 2.4.

[2] იქვე.

- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა;

სტანდარტით დადგენილი მიზნის მიღწევის ინდიკატორებად განსაზღვრულია:

- პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში);
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- შესაბამისი მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და სხვა ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტს შეუძლია პრაქტიკის გავლა;[3]

ამავე დოკუმენტით ასევე დადგენილია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების საკონსულტაციო მომსახურების ზოგადი სტანდარტი. სტანდარტის თანახმად პროგრამის მიზანი უნდა იყოს სტუდენტის სათანადო კონსულტაცია დასაქმებაზე და მისი კარიერული განვითარება.[4] ამ ზოგადი მიზნის მიღწევის კრიტერიუმებია:

- სტუდენტის კონსულტაცია დასაქმებაზე და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული მხარდაჭერა;
- პერსონალის მიერ სტუდენტებისთვის კონსულტაციაზე ინფორმაციის მიწოდება;
- პერსონალის დატვირთვაში სტუდენტების კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები.

სტანდარტით დადგენილი მიზნის მიღწევის ინდიკატორებად განსაზღვრულია:

- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურება;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პერსონალის დატვირთვა, ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და ამ თანამშრომლობის შედეგები
- სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა პროექტების და მათში ჩართული სტუდენტების შესახებ

ამასთან აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტი ხაზს უსვამს პროგრამის ზოგად მიზანს, მისცეს კურსდამთავრებულს შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები და ამ ზოგადი მიზნის შესაბამისობის დადგენის ინდიკატორად განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების საჭიროებას.

---

[3] დეტალურად შეადარეთ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ“, კერძოდ ამ ბრძანების დანართი N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“-ის შესახებ, პუნქტი 2.4.

[4] იქვე.

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი სწავლის შედეგების სტანდარტის შესაბამისობის ინდიკატორად კი განსაზღვრულია „შრომითი ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი“.[5]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტები, მათი ზოგადი ბუნების მიუხედავად, (სამართლის) საბაკალავრო პროგრამის საფეხურზე

- ყურადღებას ამახვილებს პროგრამის მიზნის და სასწავლო შედეგების ფორმირებისას შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებაზე;
- უნივერსიტეტს ავალდებულებს შრომითი ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზს;
- უნივერსიტეტს ავალდებულებს სტუდენტის ზოგადი პრაქტიკული უნარების განვითარებას;
- უნივერსიტეტს საბაკალავრო საფეხურზე არ ავალდებულებს (იურიდიული) პრაქტიკის არსებობას;
- პრაქტიკა ნაგულისხმევია არჩევით კომპონენტად და პრაქტიკული უნარების განვითარებისკენ მიმართული სხვა კომპონენტებისგან განსხვავებით, დამატებითი მოთხოვნის სახით აუცილებელია პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტის არსებობა;
- პრაქტიკული უნარების განვითარების (მათ შორის პრაქტიკის) კომპონენტისთვის აუცილებელია:
    - შესაბამისი კვალიფიკაციის ხელმძღვანელის არსებობა;
    - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ სტუდენტის საქმიანობის შეფასება;
    - დამსაქმებლებთან მემორანდუმების არსებობა, თუმცა მათი შინაარსის მიმართ არ არის განსაზღვრული კონკრეტული მოთხოვნები;
    - პრაქტიკული უნარების განვითარების კურსის მიზნის, სტუდენტების რაოდენობის და ხანგრძლივობის განსაზღვრა მემორანდუმის საფუძველზე;

პრაქტიკული უნარების განვითარების კომპონენტის გარდა აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტები ასევე განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების კონსულტირების ვალდებულებას. სტუდენტების კონსულტირების ვალდებულება მნიშვნელოვანია, რადგან ამ სტანდარტით განისაზღვრება უნივერსიტეტის ვალდებულება ითანამშრომლოს

[5] დეტალურად შეადარეთ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ“, კერძოდ ამ ბრძანების დანართი N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“-ის შესახებ, პუნქტი 1.1.

დამსაქმებლებთან და დამსაქმებლების შესაბამისი პროგრამების შესახებ კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტს, რაც მას დაეხმარება დასაქმებაში. კერძოდ, კი საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები დასაქმების ბაზარზე ხშირად პრაქტიკის გავლით ხვდებიან და ამ თვალსაზრისით იურიდიული პრაქტიკა და სტუდენტების კარიერული კონსულტირება ხშირად ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

სტანდარტის თანახმად სტუდენტის კონსულტირების ფარგლებში უნივერსიტეტი ვალდებულია ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან და შესაბამისი პრაქტიკის ან სტაჟირების პროგრამების შესახებ კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტს, რაც სათანადოდ უნდა აისახოს თანამშრომლის შრომით ფუნქციებში. ცალკე ყურადღებას იმსახურებს გარემოება, რომ კონსულტაცია არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ დასაქმების კონკრეტულ შესაძლებლობებს, არამედ მიზნად უნდა ისახავდეს სტუდენტის კარიერულ განვითარებას. რაც ასევე მოიცავს სტუდენტის კონსულტირებას მისი პროფესიული მიზნების შესახებ და პროფესიული კარიერის გააზრებასა და დაგეგმვაში მის დახმარებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტები საგანამანათლებლო პროგრამებს ავალდებულებს პროგრამის მიზნები და შედეგები შეუსაბამონ შრომითი ბაზრისა და დამსაქმებლების საჭიროებებს. პრაქტიკული უნარების განვითარება კი აუცილებლად არ გულისხმობს პრაქტიკას და მათი განვითარება აკრედიტაციის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტში არსებული სხვა აქტივობების მეშვეობით, რაც შეიძლება გულისხმობდეს იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობას, სამართლის კლინიკებში აღნიშნული უნარების განვითარებას და სხვა სპეციალური კურსების საშუალებით დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი სხვა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

2.1.2. კვალიფიკაციათა ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნები

პროგრამული აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების საფუძველზე უნივერსიტეტი ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამა ეყრდნობოდეს კვალიფიკაციათა ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ შესაბამის დარგობრივ მახასიათებელს.

„სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“ განისაზღვრა 2011 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N 224 ბრძანების საფუძველზე.

რეგულირების თანახმად სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანი უნდა იყოს იურისტის პროფესიის დაუფლება, რის საფუძველზეც იურისტი შეძლებს კერძო

და საჯარო სექტორში პროფესიით დასაქმებას.[6] ამავე დროს „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.“[7]

შესაბამისად სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის ზოგადი შედეგი უნდა იყოს იურისტის პროფესიული დასაქმება ნებისმიერ პოზიციაზე, სადაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხით შესაძლებელია დასაქმება.

დარგობრივი მახასიათებელი ასევე განსაზღვრავს, რომ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, კერძოდ:

„სტუდენტს აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისთვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა.“[8]

შესაბამისად, აკრედიტაციის ზოგადი სტანდარტები შედარებით დაკონკრეტებულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე და უნივერსიტეტს მოეთხოვება სტუდენტი აღჭურვოს შემდეგი პრაქტიკული უნარებით:

- სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება;
- სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის ნორმატიული საფუძვლების მოძიება, განმარტება და გამოყენება;
- იურიდიული დოკუმენტების შედგენა;

2. 2. იურიდიული პრაქტიკა უნივერსიტეტებში

მოცემულ თავში განიხილება კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურიკულუმში პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარების კურსები, უფრო დეტალურად კი იურიდიული პრაქტიკის კურსები. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმებში გამოყენებული ტერმინოლოგია არ არის თანმიმდევრული და იურიდიული პრაქტიკის კურსები ხან ამავე სახელწოდებით, ხან კი სასწავლო პრაქტიკის ან სამართლის კლინიკის სახელწოდებით არის მოხსენიებული.

[6] შეადარეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 224, 01. 06. 2011 დანართი, გვ.1, I. სფეროს აღწერა, აბზ. 3.
[7] შეადარეთ იქვე, გვ. 1, II. დასაქმების სფერო, აბზ. 2.
[8] შეადარეთ იქვე, გვ. 1, II. დასაქმების სფერო, აბზ. 2.

2.2.1.შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2.2.1.1. კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ამოცანად ისახავს „სტუდენტებს განუვითაროს როგორც თეორეტიკოსი, ისე პრაქტიკოსი იურისტებისათვის აუცილებელი სამართლებრივი და პროფესიული უნარ-ჩვევები.“ პროგრამის მიზნებს შორის დასახელებულია სტუდენტის პრაქტიკოს იურისტად ჩამოყალიბება, ამასთან ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტში არსებობს სამართლის კლინიკა, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის საშუალებით.

პროგრამის მიზანია ასევე „ისეთი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავება, რომლებიც სტუდენტს წარმატებით დასაქმების, პრაქტიკული მოღვაწეობისთვის მზადყოფნის და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საშუალებას მისცემს.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ინფორმაციას ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შესახებაც, კერძოდ პროგრამის შედეგად სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- პრობლემების იდენტიფიცირება და პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენება;
- იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა.
- სტუდენტი ასევე გამოიმუშავებს სამართალშემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, როგორიც არის ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, რამოდენიმე დავალების ერთდროულად შესრულების, დაძაბულ სიტუაციაში მუშაობის, კრიტიკულ სიტუაციაში სწრაფი რეაგირებისა უნარები.

პრაქტიკული უნარების გამომუშავება სხვადასხვა ფორმით ხდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა კურსებში, თუმცა კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს 24 სავალდებულო კრედიტს სამართლის პრაქტიკული და პროფესიული უნარების კურსებისთვის. სტუდენტს აღნიშნული კრედიტების დაგროვება შეუძლია შემდეგ კურსებში:

სამართლის პრაქტიკული და პროფესიული უნარების კურსები	24 ECTS
საქმიანი მიმოწერა	3 ECTS
საპროცესო უნარ- ჩვევები	6 ECTS
აკადემიური სამართლებრივი წერა და კვლევა	5 ECTS
იურიდიული პრაქტიკა	10 ECTS

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ დამატებითი პროფესიული უნარების განვითარება შემდეგ არჩევით საგნებში.

არჩევითი საგნები	
საბაკალავრო ნაშრომი	10
იურიდული ეთიკა	3
დებატებისა და საჯარო გამოსვლების ტექნიკა იურისტებისთვის	3

2.2.1.2. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში არსებობს იურიდიული პრაქტიკის სავალდებულო კურსი.

- მიზანი და შედეგები

იურიდიული პრაქტიკის კურსის მიზანია სტუდენტს ხელი შეუწყოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და ისეთი გამოცდილების შეძენაში, რომელიც რეალურ ცხოვრებაში მისცემს სტუდენტს ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას. პრაქტიკის მიზანია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი აღჭურვოს პრაქტიკული უნარებით, რაც დაეხმარება პროფესიით დასაქმებაში.

- კურსის შინაარსი

იურიდიული პრაქტიკის კურსის კონკრეტული თემატიკა სილაბუსით არ არის განსაზღვრული. კურსი გათვლილია ზოგადი პროფილის იურისტზე. სტუდენტები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე თავად აკეთებენ არჩევანს. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ პრაქტიკა იურიდიულ ფირმაში, სასამართლოში, ნოტარიუსთან, საჯარო დაწესებულებაში და ასევე ორგანიზაციებში, რომლებსაც იურიდიული პროფილი არ აქვთ, მაგრამ აქვთ იურიდიული სამსახური.

სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტს უვითარდება პრაქტიკული უნარები, ის ითვისებს კორპორატიულ ღირებულებებს, სწავლობს და ითვალისწინებს სამუშაო ადგილზე დამკვიდრებულ ქცევის წესებს. სწავლობს როგორ დაამყაროს საქმიანი კავშირები კოლეგებთან და კლიენტებთან.

- სტუდენტის ინფორმირება და კურსში ჩართვა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტებს მათი ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლიათ იურიდიული პრაქტიკის გავლა.

არსებობს ჩარჩო მემორანდუმები, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტების კონკრეტული რაოდენობა, რომლებიც ორგანიზაციებში გადიან სტაჟირებას.

სტუდენტებს ასევე შეუძლიათ თავად მოძებნონ ორგანიზაცია, სადაც გაივლიან იურიდიულ პრაქტიკას. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტი აფორმებს სტუდენტის მიერ მოძიებულ ორგანიზაციასთან ინდივიდუალურ მემორანდუმს, სადაც განისაზღვრება მენტორის ვალდებულება მის ორგანიზაციაში უხელმძღვანელოს სტუდენტის საქმიანობას იურიდიული პრაქტიკის ფარგლებში.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს საჯარო სამსახურის ბიუროსთანაც, რომელიც აცხადებს სტაჟირებებს და მათ შესახებ ინფორმაციას აწვდის უნივერსიტეტს რის საფუძველზეც სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის წარმომადგენელი წინასწარ ხვდება სტუდენტებს და არკვევს მათ ინტერესებს. წინამდებარე სემესტრში (2019 წლის შემოდგომის სემესტრი) 27 სტუდენტი გაივლის პრაქტიკულ კურსს (იურიდიულ პრაქტიკას). ადმინისტრაციის მოლოდინია, რომ აქედან 5 სტუდენტი მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტში არსებულ სამართლის კლინიკაში, დანარჩენი კი ორგანიზაციაში გაივლის იურიდიულ პრაქტიკას ან სტაჟირებას.

პრაქტიკული კურსის ნაწილია ასევე კლინიკური სწავლებაც, რაც განსხვავდება ორგანიზაციაში სტაჟირებისგან. კლინიკაში სტუდენტები მოქმედ ადვოკატებს მიყვებიან რეალურ საქმეებზე სამუშაოდ, მონაწილეობენ იმიტირებულ პროცესებში, პრაქტიკული კურსის ნაწილი 2019 წლიდან ასევე გახდა პრეცედენტული სამართლის კვლევა (გადაწყვეტილებები მოკლე აღწერების (ბრიფების) შემუშავება.

- ცოდნის აღიარება და შეფასება

იურიდიული პრაქტიკის კურსი სტუდენტებისთვის სავალდებულოა საბაკალავრო საფეხურის მეოთხე კურსზე. კურსს აქვს 10 ECTS სასწავლო კრედიტი.

კურსის ფარგლებში სტუდენტი ორგანიზაციაში 3 თვიანი სემესტრის მანძილზე გადის პრაქტიკას, რაც 120 საკონტაქტო საათს შეადგენს. სტუდენტი პრაქტიკის დასრულების შემდეგ წარადგენს პრეზენტაციას საუნივერსიტეტო კომისიის წინაშე. უნივერსიტეტს აქვს მუდმივი უკუკავშირი ორგანიზაციებთან და სტუდენტის მენტორთან.

სტუდენტის საქმიანობას აფასებს მენტორი სპეციალური ფორმის საფუძველზე. ეს არის შუალედური შეფასება, რაც საბოლოო ქულის 2/3-ია. სტუდენტი საბოლოო შეფასებას იღებს უნივერსიტეტისგან. კერძოდ, ის ამზადებს სტაჟირების შესახებ ანგარიშს და პრეზენტაციას წარუდგენს პრაქტიკული კურსის ხელმძღვანელებს და კომისიას.

პრეზენტაციაზე კომისია ამოწმებს, გამართლდა თუ არა სტუდენტის მოლოდინები და რა უნარები შეიძინა სტუდენტმა პრაქტიკის გზით. უნივერსიტეტი პრეზენტაციებიდან გამომდინარე ახერხებს შეაფასოს, რომელ ორგანიზაციაში, ან რომელ საჯარო სტრუქტურაში იყვნენ სტუდენტები უფრო კმაყოფილები გავლილი იურიდიული პრაქტიკით ან სტაჟირებით, სად მოხდა მათი უნარების მეტად გაუმჯობესება და რა ტიპის საქმეებზე მუშაობა იყო უფრო საინტერესო სტუდენტისთვის.

- პროგრამის გავლის წინაპირობები

ორგანიზაციაში იურიდიული პრაქტიკის გავლის წინაპირობაა, რომ სტუდენტს შესწავლილი ჰქონდეს სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის პროცესები, თავად ამ საგნებზე დაშვების წინაპირობა კი ამ დარგების მატერიალურ სამართლებრივი ნაწილების ცოდნაა. სტუდენტს ამ ეტაპზე კურიკულუმით ასევე გავლილი აქვს პროფესიული ეთიკის კურსი.

2.2.2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

2.2.2.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხაზს უსვამს მიზანს მოამზადოს სამართალმცოდნეები, რომელთაც ექნებათ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და იურისტისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამის მიზანში ასევე ხაზგასმულია, რომ სტუდენტი შეძლებს მუშაობას „წამყვან თანამდებობებზე იურიდიულ ფირმებში, საჯარო სექტორში, სასამართლო სისტემასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.“

პროგრამაში განსაზღვრულია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ პროგრამის შედეგად სტუდენტს უნდა შეეძლოს პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენება, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება.

აღნიშნული ზოგადი უნარი დაკონკრეტებულია, როგორც:
სასამართლო პროცესისთვის სამოქალაქო, სისხლის, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის დოკუმენტაციის მომზადების უნარი;
კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებების პროექტების შემუშავების და ხელშეკრულების მონაწილეთა მოლაპარაკების უნარი;
საქმის სტრატეგიის შემუშავებისათვის ეკონომიკური და ბიზნეს კონცეფციების გამოყენების უნარი.

პრაქტიკული უნარების გამომუშავება ხდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა კურსებში, თუმცა კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს ცალკე სამართლის პრაქტიკული განათლების სავალდებულო

მოდულს, რომელშიც სტუდენტმა სავალდებულოდ უნდა დააგროვოს 30 სასწავლო კრედიტი.

სამართლის პრაქტიკული განათლება	30 ECTS
ბიზნესის სამართლის კლინიკა	6 ECTS
სისხლის სამართლის კლინიკა	6 ECTS
საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა I, II	6 ECTS
ადმინისტრაციული სამართლის კლინიკა	6 ECTS
იურიდიული პრაქტიკა	6 ECTS

სამართლის პრაქტიკული განათლების კურსების გარდა კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს პროფესიული უნარების განვითარების სავალდებულო კურსებს, კერძოდ:

პროფესიული უნარების განვითარება	27 ECTS
სამართლებრივი წერა I, II	6 ECTS
ინგლისური ენა იურისტებისათვის I, II, III	9 ECTS
ადვოკატთა პროფესიული ეთიკა	2 ECTS
საბაკალავრო ნაშრომი	10 ECTS

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკული უნარების გავითარება საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის გზით.

არჩევითი საგნები	
ვილემ ვისის სახელობის იმიტირებული პროცესი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში	6 ECTS
ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრი	6 ECTS
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმიტირებული სასამართლო პროცესი	6 ECTS

2.2.2.2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი

- მიზანი და შედეგები

იურიდიული პრაქტიკის კურსი თავისუფალ უნივერსიტეტში მე-4 კურსის სტუდენტებისთვის სავალდებულო კურსის სახით არსებობს სამართლის საბაკალავრო პროგრამის შექმნის დროიდან. იურიდიული პრაქტიკის მიზანია სტუდენტმა ისწავლოს დამოუკიდებლად მუშაობა, შეიძინოს პრაქტიკული უნარები და იმუშაოს სამართლებრივი პრობლემების გადაჭრაზე. პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტმა მოახერხოს რეალურ გარემოში პროფესიული ადაპტაცია და იმ სოციალური უნარების შეძენა, რაც მნიშვნელოვანია შემდგომში

მისი დასაქმებისთვის. სტუდენტი ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლის შედეგად იძენს ცოდნას მისი პროფესიის და პროფესიული საქმიანობის ყოველდღიურობის შესახებ. ორგანიზაციაში მუშაობით სტუდენტი ეჩვევა ისეთ გარემოს, რომელშიც მას უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მოუწევს მუშაობა.

- კურსის შინაარსი

განსხვავებით კლინიკური საგნებისგან, რომლებიც ასევე სავალდებულოა, ამ კურსის ფარგლებში სტუდენტი უნივერსიტეტისგან დამოუკიდებლად მუშაობას ეჩვევა და ხვდება მრავალფეროვან, მისთვის ახალ გარემოში.

სილაბუსის მიხედვით სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 168 საათი დააგროვოს სხვადასხვა ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლით და შესაბამისად შეფასებები და დახასიათება მოიპოვოს სხვადასხვა მენტორებისგან. 168 საათის განაწილება ერთ სემესტრში შესაძლებელია სტუდენტის სურვილისამებრ.

სტუდენტს პრაქტიკის გავლა შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელსაც თავად მოიძიებს, ან იმ ორგანიზაციებში რომლებსაც თავისუფალი უნივერსიტეტი უფორმებს მემორანდუმებს. მემორანდუმით პარტნიორი ორგანიზაციები იტოვებენ თავისუფლებას, თავად შეარჩიონ სტუდენტები გასაუბრებების და ტესტების საფუძველზე. თავისუფალ უნივერსიტეტში არსებობს კარიერული სამსახური, რომელიც სტუდენტებს დასაქმებაში ეხმარება, კერძოდ აორგანიზებს ტრენინგებს პროფესიული რეზიუმეს შედგენაში და ატარებს დასაქმების ფორუმებს.

- სტუდენტის ინფორმირება და კურსში ჩართვა

სამართლის სკოლის სტუდენტებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსის შესახებ და შესაბამისად ინფორმირებულები არიან, რომ მე-7 ან მე-8 სემესტრში ისინი ვალდებული არიან გაიარონ იურიდიული პრაქტიკა. მათი ინტერესების გათვალისწინების მიზნით სემესტრის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალურ (30 წუთიან) შეხვედრას ატარებს. ამ შეხვედრაზე ირკვევა სტუდენტის ინტერესები, თუ რა მიმართულებით სურს მას პრაქტიკის გავლა. ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს მოუძებნოს მისი ინტერესების შესაბამისი ორგანიზაცია ან/და რჩევა მისცეს სტაჟირების ადგილთან დაკავშირებით.

- ცოდნის აღიარება და შეფასება

სტუდენტი, სემესტრის დაწყებიდან მე-10 კვირაში აკეთებს პრაქტიკის შესახებ შუალედურ პრეზენტაციას სამართლის სკოლის მიერ შედგენილი კომისიის წინაშე, სადაც აღწერს ორგანიზაციის სტრუქტურას, მის უფლება-მოვალეობებს და განიხილავს საქმეებს, რაზეც მუშაობს. კომისია შედგება სამართლის სკოლის

პროფესორებისგან, კოორდინატორისგან და დეკანისგან; კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი ადამიანისგან.

შუალედური პრეზენტაციის საფუძველზე კომისია აფასებს სტუდენტის საქმიანობას, რაც საბოლოო შეფასების 35%-ს შეადგენს. ორგანიზაციაში სტუდენტს ჰყავს ზედამხედველი, რომელიც ასევე აფასებს სტუდენტის საქმიანობას და აძლევს მას დახასიათებას. აღნიშნული შეფასება შეადგენს საბოლოო შეფასების 30%-ს. კურსის დასრულებისას კი სტუდენტს უწევს საბოლოო პრეზენტაციის გაკეთება უნივერსიტეტის კომისიის წინაშე, რასაც საბოლოო შეფასებაში აქვს 35%. პრეზენტაციაზე სტუდენტი წარადგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს. აუცილებელია ორივე პრეზენტაციაში ჩანდეს, რომ სტუდენტს სამართლებრივ პრობლემებზე უწევდა მუშაობა. ტექნიკური საქმის კეთება არ აძლევს სტუდენტს ქულის მიღების შესაძლებლობას.

- პროგრამის გავლის წინაპირობები

საგნის სილაბუსის მიხედვით კურსისადმი ერთადერთი მოთხოვნაა, რომ სტუდენტს დაგროვებული ჰქონდეს 120 კრედიტი. ეს ფაქტობრივად გულისხმობს, რომ სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ძირითადი მატერიალურ სამართლებრივი და საპროცესო საგნები.

2.2.3.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2.2.3.1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს პრაქტიკასა და თეორიაში გამოსადეგი უმაღლესი იურიდიული განათლება.

სამართლის პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ასევე შეეძლება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, კერძოდ სტუდენტი შეძლებს:

- პრობლემების იდენტიფიცირებას და პრობლემების გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიებას, განმარტებას და გამოყენებას;
- იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენას;
- ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენებზე მოძიებას, დამუშავებას და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემას;

პრაქტიკული უნარების გამომუშავება სხვადასხვა ფორმით ხდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა კურსებში, თუმცა კურიკულუმი ასევე

ითვალისწინებს 23 სავალდებულო კრედიტს სამართლის პრაქტიკული და პროფესიული უნარების კურსებისთვის.

სამართლის პრაქტიკული და პროფესიული უნარების კურსები	23 ECTS
სამართლის მეთოდები	5 ECTS
საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების საფუძვლები	3 ECTS
პროფესიული ეთიკა	2 ECTS
აკადემიური წერის საფუძვლები	3 ECTS
ინგლისური ენა იურისტებისთვის	5 ECTS
საკანონმდებლო ტექნიკის საფუძვლები	5 ECTS

კურიკულუმი ჩამოთვლილი საგნების გარდა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკული სწავლებისა და პროფესიული უნარების განვითარების კურსებს, რომელიც სავალდებულოა შესაბამისი (საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის) მიმართულების სტუდენტებისთვის. სტუდენტი შესაბამისად ვალდებულია მის მიერ შერჩეულ სამართლის სპეციალიზაციაში გაიაროს იურიდიული პრაქტიკის (კურიკულუმი იყენებს სახელწოდებას სასწავლო პრაქტიკა) კურსი, კერძოდ:

არჩევითი კომპონენტები	
სასწავლო პრაქტიკა/კლინიკური სწავლება	10 ECTS
საბაკალავრო ნაშრომი	10 ECTS

2.2.3.2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი

- მიზანი და შედეგები

უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მერვე სემესტრში სტუდენტები გადიან კურსს სახელად „სასწავლო პრაქტიკა“, რომელიც მისი შინაარსით იურიდიული პრაქტიკის კურსია. უნივერსიტეტის წარმომადგენლების აზრით კურსი სტუდენტს უადვილებს პროფესიაში შესვლას. სილაბუსით განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, რაც მოიცავს თეორიული ცოდნის განმტკიცებას, პრაქტიკული ცოდნის შეძენას, სტუდენტების მიერ სახელმწიფო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებას და მათი საქმიანობის ადგილზე გაცნობას.

- კურსის შინაარსი

კურსი უნივერსიტეტის დაარსებიდან (1991 წლიდან) დღემდე არსებობს სავალდებულო ფორმით. კურსის ფარგლებში მეოთხე კურსზე სტუდენტები გადიან ორგანიზაციებში გარე პრაქტიკას. ორგანიზაციები შეიძლება იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებები, შსს-ს საგამოძიებო ორგანოები, საქართველოს პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები, მერია და

ასევე იურიდიული ფირმები და სხვა კერძო ორგანიზაციები, სადაც უნივერსიტეტი სტუდენტებს უშვებს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის საფუძველზე. ყოველწლიურად სასწავლო პრაქტიკას გადის დაახლოებით 90 სტუდენტი.

- სტუდენტის ინფორმირება და კურსში ჩართვა

სემესტრის დაწყების წინ სტუდენტები წერენ განაცხადებს და უთითებენ, რომელ საჯარო დაწესებულებაში ან კერძო ორგანიზაციაში სურთ პრაქტიკის/სტაჟირების გავლა. შემდეგ უნივერსიტეტი ათანხმებს პარტნიორებთან პრაქტიკას. პრაქტიკის დაწყების წინა დღეს უნივერსიტეტში სტუდენტებს ხვდებიან სამართლის სკოლის წარმომადგენლები და უხსნიან პრაქტიკის შინაარსს, ასევე განუმარტავენ მის უფლება-მოვალეობებს პრაქტიკის დროს. სტუდენტს შეუძლია თავად მოიძიოს ორგანიზაცია, სადაც გაივლის პრაქტიკას და ის შეძლებს პრაქტიკის საფუძველზე სასწავლო კრედიტის მოპოვებას. თუმცა, აუცილებელია სტუდენტის მიერ მოძიებულ ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება, ინდივიდუალური სტაჟირების პროგრამის განსაზღვრისთვის.

უნივერსიტეტში არსებობს კარიერული სამსახური და ასევე ელექტრონული სისტემა, რომელიც ახორციელებს სტუდენტების ინფორმირებას შესაბამისი სტაჟირებების შესახებ.

- ცოდნის აღიარება და შეფასება

იურიდიული პრაქტიკის კურსს აქვს 10 ECTS სასწავლო კრედიტი. სტუდენტი პრაქტიკის კურსში ფასდება შუალედურად პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, რასაც საერთო შეფასებაში აქვს 60%; სტუდენტი ასევე ფასდება პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის საფუძველზე, რასაც საერთო შეფასებაში აქვს 40%. ხელმძღვანელის შეფასება მოიცავს პრაქტიკის ფარგლებში აქტიურობას - 30% და იურისტის პროფესიული საქმიანობის შეფასებას - 30%; სტუდენტს ორგანიზაციაში ჰყავს ზედამხედველი, რომელიც აფასებს მის საქმიანობას პრაქტიკის პერიოდში და ასევე ხელმძღვანელი უნივერსიტეტში.

- პროგრამის გავლის წინაპირობები

ორგანიზაციაში იურიდიული პრაქტიკის გავლის წინაპირობაა, რომ სტუდენტს შესწავლილი ჰქონდეს სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი ნორმები.

2.2.4. კავკასიის უნივერსიტეტი

2.2.4.1. კავკასიის უნივერსიტეტის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტს მისცეს სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა უნარები;

სამართლის პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ასევე შეეძლება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, კერძოდ სტუდენტი შეძლებს:

- სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას და პრობლემების გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიებას, განმარტებას და გამოყენებას;
- იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენას;

პრაქტიკული უნარების გამომუშავება სხვადასხვა ფორმით ხდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა კურსებში, თუმცა კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს 16 სავალდებულო კრედიტს სამართლის პრაქტიკული და პროფესიული უნარების კურსებისთვის.

სამართლის პრაქტიკული და პროფესიული უნარების კურსები	16 ECTS
სამართლებრივი დასაბუთება და არგუმენტაცია	5 ECTS
პროფესიული ეთიკა	6 ECTS
აკადემიური წერის უნარები	5 ECTS

არჩევითი კომპონენტის სახით კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსებს კერძო სამართალში, სისხლის სამართალსა და საჯარო სამართლში. არჩევითი კომპონენტიდან სავალდებულოა 6 კრედიტის დაგროვება. კომპონენტი ითვალისწინებს სტუდენტის ჩართვას პრაქტიკული სამართლის კლინიკაშიც.

არჩევითი პრაქტიკული კომპონენტები	6 ECTS
საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი	6 ECTS
კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი	6 ECTS
სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი	6 ECTS
სამართლის კლინიკა	6 ECTS

2.2.4.2. კავკასიის უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი

- მიზანი და შედეგები

იურიდიული პრაქტიკის კურსის მიზანია სტუდენტმა შეძლოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება. ორგანიზაციაში პრაქტიკის საფუძველზე სტუდენტი ახერხებს მუშაობას სამართლებრივ პრობლემებზე და სწავლობს ორგანიზაციაში მუშაობას. რადგან კურსი 2019 წლიდან გახდა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს ჯერ არ აქვს კურსის ფარგლებში დაგროვილი რეალური გამოცდილება.

- კურსის შინაარსი

სტუდენტები იურიდიულ პრაქტიკას 2020 წლის გაზაფხულიდან გაივლიან მეოთხე კურსზე. სტუდენტი პრაქტიკას ან სტაჟირებას გადის ინდივიდუალური პროგრამით. თითოეულ პროგრამაში ინდივიდუალურად განსაზღვრულია სტუდენტის ამოცანები და უნარები, რომელსაც სტუდენტი ორგანიზაციაში გამოიმუშავებს. პრაქტიკის მიზნებიც ინდივიდუალურად განისაზღვრება. ინდივიდუალურად განსაზღვრული შეთანხმებები არსებობს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შეთავაზებულ პროფესიული ეთიკის იურიდიულ კლინიკასთან, ისევე როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოსთან და ცალკეულ იურიდიულ კომპანიებთან. თითოეულ ამ ინდივიდუალურად განსაზღვრულ პროგრამას აქვს საკუთარი ინდივიდუალური შინაარსი/სილაბუსი.

- სტუდენტის ინფორმირება და კურსში ჩართვა

უნივერსიტეტი სტუდენტებში ავრცელებს ინფორმაცია კურსის შესახებ, ატყობინებს მათ არჩევით საგანს.

უნივერსიტეტში არსებობს კარიერული სამსახური, რომელიც ზოგადად უნივერსიტეტის ყველა პროგრამის სტუდენტებს ეხმარება სამსახურის/სტაჟირების მოძიებაში და პროფესიული CV-ის შედგენაში. აღნიშნული სამსახური ასევე ავრცელებს ინფორმაციას პრაქტიკის ან სტაჟირებების შესახებ. თუმცა, იმისთვის რომ პრაქტიკის გავლის საფუძველზე სტუდენტმა მოიპოვოს სასწავლო კრედიტები, სამართლის სკოლამ უნდა გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი და შედგეს ინდივიდუალური პროგრამა.

- ცოდნის აღიარება და შეფასება

იურიდიული პრაქტიკა საბაკალავრო პროგრამას არჩევით საგნად დაემატა 2019 წელს. მანამდე ეს კურსი არსებობდა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. კურსს აქვს მინიჭებული 6 ECTS სასწავლო კრედიტი. ამ ეტაპზე უნივერსიტეტს არ ჰყავს საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტები, რომლებმაც ამ კურსის საფუძველზე გაიარეს პრაქტიკა ან სტაჟირება ორგანიზაციაში და სტუდენტების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა.

სტაჟირების შეფასება დაგეგმილია შემდეგი სქემით: პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის შეფასებაზე მოდის საერთო შეფასების 70%, ხოლო საბოლოო შეფასების 30% მოდის უნივერსიტეტის კომისიის წინაშე პრეზენტაციაზე.

- პროგრამის გავლის წინაპირობები

ორგანიზაციაში იურიდიული პრაქტიკის გავლის წინაპირობაა, რომ სტუდენტს შესწავლილი ჰქონდეს სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი ნორმები.

2.2.5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

2.2.5.1. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტს მისცეს სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები; ასევე სტუდენტს შესძინოს:
სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები; შესძინოს მას პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს შეეძლება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, კერძოდ:

- სტუდენტს უნდა ჰქონდეს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული თვისებები სამართლის შესაბამის დარგში აბსტრაქტული პრობლემების გადაჭრისთვის;
- სტუდენტს უნდა შეეძლოს პრობლემატური სიტუაციის გადასაჭრელად დროის/რესურსის სიმცირის პირობებშიც ადეკვატური და ეფექტური გზების მონახვა;
- სტუდენტი უნდა იყენებდეს სფეროსთვის დამახასიათებელი მეთოდებისა და პრინციპების ერთობლიობას თეორიული და კვლევითი საკითხების გადასაწვეტად;
- სტუდენტს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი და შეეძლოს იურიდიული

შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების და სარჩელის) შედგენა;

- სტუდენტს განვითარებული უნდა ჰქონდეს ტექსტების კვლევისა და ანალიზის უნარი, რაც შეუძლია წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში.

პრაქტიკული უნარების გამომუშავება ხდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა კურსებში, თუმცა კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს სავალდებულოდ პროფესიული უნარების განვითარების კურსს, კერძოდ:

სამართლის პრაქტიკული და პროფესიული უნარების კურსები	5 ECTS
სამართლებრივი მართლწერა	5 ECTS

კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს პრაქტიკული სწავლებისა და პროფესიული უნარების განვითარების არჩევით კურსებს, მათ შორის იურიდიულ პრაქტიკას (რასაც კურიკულუმში სასწავლო პრაქტიკა ეწოდება). კერძოდ:

პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარების არჩევითი კომპონენტები	30 ECTS
სასამართლო პროცესის ინსცენირება და იურიდიული პრეზენტაციის უნარ-ჩვევები	5 ECTS
საკანონმდებლო ტექნიკა	5 ECTS
ინგლისური ენა იურისტებისთვის I, II	10 ECTS
ხელშეკრულების შედგენა	5 ECTS
სასწავლო პრაქტიკა	5 ECTS

2.2.5.2. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის იურიდიული პრაქტიკის კურსი

კურიკულუმის თანახმად იურიდიული პრაქტიკა არის სამართლის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსი.

- მიზანი და შედეგები

იურიდიული პრაქტიკა არის პრაქტიკული განათლების არჩევითი კომპონენტი და მიზნად ისახავს სტუდენტისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. კურსის მიზანია სტუდენტმა შეძლოს დამოუკიდებლად თავისი შრომის დაგეგმვა, ორგანიზაციაში მუშაობის სწავლა და რეალურ საქმეებზე მუშაობა. უნივერსიტეტში 2017 წლის შემდეგ, მე-4 კურსის სტუდენტებს ჯამში 3-ჯერ ჰქონდათ კურსის არჩევის შესაძლებლობა. თუმცა სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 5-6-მა სტუდენტმა აირჩია იურიდიული პრაქტიკის კურსი. პრაქტიკას სტუდენტები უმეტესწილად საკუთარი ინიციატივით გადიან და არჩევითი კურსის ფარგლებში პრაქტიკის საფუძველზე არ იღებენ სასწავლო კრედიტებს.

- კურსის შინაარსი

კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია იურიდიული პრაქტიკის არჩევითი კურსის ფარგლებში დააგროვოს 125 საათი ორგანიზაციაში, რომელიც თავად შეარჩია სტუდენტმა. 125 საათიდან 10 საათი გამოყოფილია ხელმძღვანელთან კონსულტაციისთვის, 15 საათი კი ანგარიშის მომზადებისთვის, ხოლო პრაქტიკული საქმიანობისთვის სტუდენტს რეალურად მოეთხოვება 100 საათის დახარჯვა. აღნიშნული 100 საათი შესაძლებელია გადანაწილდეს მეოთხე კურსის ერთ ან ორივე სემესტრზე. კურსის საფუძველზე სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს 5 სასწავლო კრედიტი.
კურსის სილაბუსით გათვალისწინებული 125 საათი სტუდენტმა უნდა გაატაროს ერთ ორგანიზაციაში.

- სტუდენტის ინფორმირება და კურსში ჩართვა

სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამის საფუძველზე აქვთ ინფორმაცია არჩევითი კურსის სახით იურიდიული პრაქტიკის შესახებ. როგორც წესი, პრაქტიკის შესაძლებლობებს სტუდენტები თავად ეძებენ.

- ცოდნის აღიარება და შეფასება

იურიდიული პრაქტიკის კურსის შეფასების სისტემა მოიცავს დამსაქმებლის მიერ სტუდენტის საქმიანობის შეფასებას, რასაც საერთო შეფასებაში აქვს 60%. სტუდენტის საქმიანობა პრაქტიკის ფარგლებში ასევე ფასდება უნივერსიტეტის მიერ შექმნილი კომისიის მიერ, რომლის ხელმძღვანელიც არის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. აღნიშნული შეფასება მოიცავს საერთო შეფასების 40%-ს, საიდანაც პრაქტიკის ანგარიშზე მოდის 30%, ხოლო პრეზენტაციაზე, რომელსაც სტუდენტი კომისიის წინაშე წარადგენს - 10%.

იურიდიული პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც შეაფასებს ორგანიზაციაში მის საქმიანობას. ამასთან უნივერსიტეტში სტუდენტს ჰყავს ცალკე იურიდიული პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელი, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს პერიოდული კომუნიკაცია ორგანიზაციაში სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელთან.

- პროგრამის გავლის წინაპირობები

ორგანიზაციაში იურიდიული პრაქტიკის გავლის წინაპირობაა, რომ სტუდენტს შესწავლილი ჰქონდეს სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი ნორმები. სტუდენტს არ მოეთხოვება პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა.

2.3. იურიდიული პრაქტიკა და სტაჟირების პროგრამები საჯარო სექტორში

წინამდებარე თავი მოიცავს საჯარო სფეროში არსებულ იურიდიული პრაქტიკისა და სტაჟირების მდგომარეობის აღწერას. წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგიისა და დიზაინის გათვალისწინებით ყურადღება გამახვილებულია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის განკუთვნილ იურიდიული პრაქტიკისა და სტაჟირების პროგრამებზე. საჯარო სფეროში სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია პრაქტიკის ან სტაჟირების გამოცდილების შეძენა. პრაქტიკა, სტაჟირებასთან შედარებით მოკლევადიანია და მისი ძირითადი მიზანი ორგანიზაციის პერსპექტივიდან არ არის მომავალი თანამშრომლის სწავლება, შემდეგ სამსახურში აყვანის მიზნით. სტაჟირების უპირატესი მიზანი კი, როგორც წესი ახალი კადრების მოზიდვა, ორგანიზაციაში მათი სხვა თანამშრომლების მსგავს პირობებში საქმიანობა (შესაბამისი სამუშაო საათობრივი დატვირთვა) და ამ საქმიანობის წარმატების შემთხვევაში მათი სამსახურში აყვანაა. ამასთან, საჯარო დაწესებულებების ნაწილი სტაჟირებისას სტუდენტს ასევე სთავაზობს დამატებით სასწავლო მოდულებს, რაც მას ეხმარება შესაბამისი ორგანიზაციისთვის აუცილებელი დამატებითი ცოდნის შეძენაში.

წინამდებარე თავში განხილულია როგორც იურიდიული პრაქტიკის ისე სტაჟირების პროგრამები შემდეგ ორგანიზაციებში:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- საქართველოს უზენაესი სასამართლო
- საქართველოს საერთო სასამართლოები
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- საქართველოს პროკურატურა
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
- სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა

2.3.1. იურიდიული პრაქტიკა სასამართლოში

2.3.1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სტაჟირების პროგრამა მოწესრიგებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით N ს/44[9], რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფის და კვლევების დეპარტამენტში სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.

- სტაჟირების მიზანი

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თამვჯდომარის ბრძანება N ს/44, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფის და კვლევების დეპაარტამენტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ, 01.11.2017

სტაჟირების პროგრამის მთავარი მიზანია საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტში ახალი კადრების მოზიდვა და მათი განვითარება, შემდგომი დასაქმების მიზნით.

- სტაჟირების წინაპირობები

სტაჟიორი შეიძლება გახდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი.

- სტაჟირებაზე მიღება

სტაჟირებაზე მიღება ხორციელდება კონკურსის წესით ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, უკონკურსოდ. სტაჟირებაზე მიღება ხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

- სტაჟირების ხანგრძლივობა და სამუშაო დატვირთვა

სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა განსაზღვრულია 9 თვის ვადით. სტაჟირება გულისხმობს სრული სამუშაო დატვირთვით დეპარტამენტში საქმიანობის განხორციელებას.

- სტაჟირების შინაარსი

სტაჟიორს აქვს დეპარტამენტის თანამშრომლების მსგავსი უფლება-მოვალეობები, რაც გულისხმობს სამართლებრივი კვლევების მომზადებას, საოქმო ჩანაწერების პროექტების მომზადებას, შედარებით-სამართლებრივი კვლევების მომზადებასა და დეპარტამენტის თანამშრომლების მსგავს სხვა ფუნქციებს.

- სტაჟირების შეფასება

სტაჟირების ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას ახორციელებს დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი. სტაჟიორის საქმიანობა დეპარტამენტის სხვა თანამშრომლების მსგავსად ფასდება 3 თვეში ერთხელ. სტაჟიორის საქმიანობის შეფასებას ახორციელებს დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე, ან უფროსი მრჩეველი თუ სტაჟიორის ხელმძღვანელია დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი.

- სტაჟირების შრომის პირობები

სტაჟირება არის ანაზღაურებადი საქმიანობა და სტაჟირების დრო სტაჟიორს ეთვლება სამუშაო გამოცდილებაში (სტაჟში). არსებობენ I და მე-II კატეგორიის სტაჟიორები. პირველი კატეგორიის სტაჟიორის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 850 ლარს, ხოლო მეორე კატეგორიის სტაჟიორის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 680 ლარს. სტაჟიორის საქმიანობის შეფასების საფუძველზე ხდება სტაჟიორის კატეგორიის ცვლილება. ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, დეპარტამენტის თავმჯდომარის წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით.

2.3.1.2. საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაეს სასამართლოში სტაჟირების გავლის წესი და პირობები დამტკიცებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2007 წლის 2 ოქტომბრის #21-ს § ბრძანებით.

- სტაჟირების მიზანი

სტაჟირების პროგრამის მთავარი მიზანია უზენაესი სასამართლოს აპარატში ახალი კადრების მოზიდვა და მომზადება, მათი პრაქტიკული უნარების და პროფესიული განვითარება.

- სტაჟირების წინაპირობები

სტაჟიორი შეიძლება გახდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი ან მესამე კურსის სტუდენტი ან მინიმუმ სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი.

- სტაჟირებაზე მიღება

სტაჟირებაზე მიღება ხორციელდება კონკურსის წესით, ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, უკონკურსოდ. ტესტირებასა და გასაუბრებას ატარებს სპეციალური კომისია, რომელიც საუკეთესო ქულების მქონე კანდიდატს არჩევს ხმათა უმრავლესობით.

- სტაჟირების ხანგრძლივობა და სამუშაო დატვირთვა

სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა განსაზღვრულია ერთი წლის ვადით. სტაჟირების პირველადი ვადა შეადგენს 6 თვეს, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ კიდევ 6 თვით.

- სტაჟირების შინაარსი

სტაჟიორი პირველ ეტაპზე ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს. სტაჟიორს ჰყავს საქმიანობის ზედამხედველი და პასუხისმგებელი მოხელე, რომელიც განსაზღვრავს მის ყოველდღიურ დავალებებსა და საქმიანობის შინაარსს.

- სტაჟირების შეფასება

სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს პერიოდულად აბარებს ანგარიშს სტაჟიორის საქმიანობის შესახებ.

- სტაჟირების შრომის პირობები

სტაჟირება არ არის ანაზღაურებადი საქმიანობა და არ არის განსაზღვრული სტაჟირების ფიქსირებული სამუშაო დრო.

2.3.1.3. საერთო სასამართლოები

საქართველოს რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში სტაჟირების და პრაქტიკის გავლის წესი და პირობები დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით N 1/251; იგივე წესი გამოიყენება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სტაჟირებისა და პრაქტიკის მიმართ.

- სტაჟირებისა და პრაქტიკის მიზანი

სტაჟირების პროგრამის მთავარი მიზანია კვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი პროფესიული დახვეწა და მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

- სტაჟირების და პრაქტიკის წინაპირობები

სტაჟიორი შეიძლება გახდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი ან მესამე კურსის სტუდენტი ან მინიმუმ სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი. პირმა უნდა წარადგინოს ცნობა ნასამართლობის და სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

- სტაჟირებაზე და პრაქტიკაზე მიღება

სტაჟირებაზე მიღება ხორციელდება კონკურსის წესით, რომელიც ცხადდება საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე კომისიის მიერ. სტაჟიორების მიღება ხდება გასაუბრების ან გასაუბრების და ტესტირების საფუძველზე.

სასამართლოში სტაჟიორად პირს ნიშნავს სასამართლოს თავმჯდომარე, ან მისი დავალებით სასამართლოს მენეჯერი, ხოლო საბჭოში მდივანი ან მისი დავალებით ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.

სტაჟირებაზე მიღება ხდება კომისიის მიერ. კომისიის თავმჯდომარე სასამართლოს თავმჯდომარესთან ან საბჭოს მდივანთან შეთანხმებით განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე - საბჭოს შემთხვევაში კი საბჭოს მდივანი. კომისიაში ასევე შეიძლება სპეციალისტების მოწვევა. სტაჟიორების რაოდენობას განსაზღრავს კომისიის თავმჯდომარე.

სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში სტაჟიორი მიიღება კონკურსის გარეშე.

პრაქტიკაზე მიღება ხდება უნივერსიტეტის მიმართვის საფუძველზე, მათი განცხადებისა და პრაქტიკანტის რეზიუმის საფუძველზე.

- სტაჟირების ხანგრძლივობა და სამუშაო დატვირთვა

სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა განსაზღვრულია ერთი წლის ვადით. სტაჟირების პირველადი ვადა შეადგენს 6 თვეს, რომელიც სასამართლოს მენეჯერის ან საბჭოს შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის

დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ კიდევ 6 თვით.

პრაქტიკის ვადა შეადგენს 2 თვეს. ვადის გაგრძელება შესაძლებელია მაქსიმუმ 4 თვით პრაქტიკანტის განცხადების და მისი უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე. პრაქტიკის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს მენეჯერი ან საბჭოს შემთხვევაში ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

- სტაჟირების შინაარსი

სტაჟიორი/პრაქტიკანტი პირველ ეტაპზე ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს. სტაჟიორს/პრაქტიკანტს ჰყავს საქმიანობის ზედამხედველი, რომელიც კოორდინაციას უწევს სტაჟიორის/პრაქტიკანტის საქმიანობას, ეხმარება ორიენტირებაში, განსაზღვრავს მის ყოველდღიურ დავალებებს და საქმიანობის შინაარსს. უშუალო ხელმძღვანელის მიერ სტაჟიორისთვის/პრაქტიკანტისთვის მიცემული ტექნიკური ხასიათის დავალებების წილი არ უნდა აღემატებოდეს სტაჟიორის/პრაქტიკანტის მთლიანი საქმიანობის ნახევარს.

- სტაჟირების შეფასება

სტაჟიორის/პრაქტიკანტის შეფასებას ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც სასამართლოს მენეჯერს, ან საბჭოს შემთხვევაში ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს სტაჟიორის/პრაქტიკანტის საქმიანობის შეფასებას. სტაჟიორი/პრაქტიკანტი კი თავის მხრივ აფასებს მის უშუალო ხელმძღვანელს და ზევით აღნიშნულ პირებს წარუდგენს მის შეფასებას. ორივე შეფასება კონფიდენციალურია.

სტაჟირებისა და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემთხვევაში პირი იღებს სტაჟირების/პრაქტიკის სერტიფიკატს, ხოლო ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ცნობას სტაჟირების/პრაქტიკის შესახებ, სადაც მითითებულია ვადამდე შეწყვეტის საფუძველი.

- სტაჟირების შრომის პირობები

სტაჟირება და პრაქტიკა არ არის ანაზღაურებადი საქმიანობა და არ არის განსაზღვრული სტაჟირების ფიქსირებული სამუშაო დრო.

სტაჟიორი და პრაქტიკანტი ვალდებულნი არიან, გაეცნონ საერთო სასამართლოების საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას და სტაჟირებისას იხელმძღვანელონ შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, ასევე დაიცვან სასამართლოს შინაგანაწესი; შეასრულონ მენეჯერის და უშუალო ხელმძღვანელის დავალებები.

2.3.2. იურიდიული პრაქტიკა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (ნოტარიუსთა პალატის ჩათვლით) სტაჟირების გავლის წესი და პირობები დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანებით №80.

- სტაჟირების მიზანი

სტაჟირების პროგრამის მთავარი მიზანია იუსტიციის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და მომზადება, მათი პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული განვითარება.

- სტაჟირების წინაპირობები

სტაჟიორი შეიძლება გახდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის მეორე, მესამე ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან მინიმუმ სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს ერთეულის სადაც უნდა გაიაროს სტაჟირება, შესაბამისი კვალიფიკაცია. სტაჟიორთა რაოდენობას მინისტრი განსაზღვრავს წელიწადში ერთხელ. სტაჟირების წინაპირობაა, რომ პირი არ იყოს ნასამართლევი, იყოს საქართველოს მოქალაქე. პირმა ასევე უნდა წარადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების და სტუდენტობის დამადასტურებელი ცნობა.

- სტაჟირებაზე მიღება

სტაჟირებაზე მიღება ხდება მინისტრის მიერ ან შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ. კომისიაში ორგანიზაციის თანამშრომლების გარდა ასევე შეიძლება შედიოდნენ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

სტაჟირებაზე მიღება როგორც წესი ხდება კონკურსის წესით, თუმცა მინისტრის ბრძანებით სამინისტროს ცენტრალურ აპარატში კადრის სტაჟირებაზე მიღება კონკურსის გარეშეც არის შესაძლებელი და ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში სტაჟირება არ არის ანაზღაურებადი. მსგავს შემთხვევაში მინისტრს ან შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს უფლება აქვს სტაჟირებაზე მიიღოს პირი მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე.

კონკურსის გარეშე სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ან სსიპ-ში სტაჟირების გავლა ასევე შეუძლიათ იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის პროექტ „50 საჯარო მოხელე“-სთვის კონკურსის წესით შერჩეულ მონაწილეებს. ასეთი სტაჟირება შეიძლება იყოს ანაზღაურებადი.

კონკურსის საფუძველზე შერჩევა შეიძლება მოხდეს წერითი დავალების, ტესტირების და გასაუბრების საფუძველზე. წერილობითი დავალებების და ტესტირების ადმინისტრირებას ახდენს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი. გასაუბრებაზე არ დაიშვება კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს ტესტირების/წერითი დავალების ეტაპს. გასაუბრებაზე მოწმდება როგორც პროფესიული ისე პიროვნული უნარ-ჩვევები.

კონკურსი წარმოებს „საჯარო სამსახურის ბიუროს“ მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე.

- სტაჟირების ხანგრძლივობა და სამუშაო დატვირთვა

ანაზღაურებადი სტაჟირების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 1 თვიდან 1 წლამდე, ხოლო არაანაზღაურებადი სტაჟირების - 1 თვიდან 6 თვემდე. ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა ითვლება შრომით სტაჟში. სტაჟიორის შეფასების საფუძველზე შესაძლოა დადგენილი ვადების ფარგლებში სტაჟირების გაგრძელება, რამაც არ უნდა გადააჭარბოს 1 წელს ან 6 თვეს.

- სტაჟირების შინაარსი

სტაჟირების შინაარსი (სამუშაო აღწერილობა) განისაზღვრება ადამიანური რესურსების მენეჯერისა და სტაჟირების ხელმძღვანელის მიერ. სტაჟირების ხელმძღვანელი არის სტაჟიორის საქმიანობის უშუალო ზედამხედველი, ის განსაზღვრავს დავალებებს და მათი შესრულების ვადებს, ასევე ეხმარება სტაჟიორს დავალებების შესრულებაში. სტაჟიორს ჰყავს ზედამხედველი და პასუხისმგებელი მოხელე, რომელიც განსაზღვრავს მის ყოველდღიურ დავალებებს და საქმიანობის შინაარსს. სტაჟიორი მონაწილეობას იღებს საკითხების გადაწყვეტაში და დოკუმენტების შედგენის პროცესში.

- სტაჟირების შეფასება

სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი არის სტაჟირების ხელმძღვანელი. სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელის მიერ სტაჟიორის დადებითი შეფასების შემთხვევაში ანაზღაურების გარეშე სტაჟირების დაწყებიდან 3 თვის შემდეგ სტაჟიორი შეიძლება გადაყვანილ იქნას ანაზღაურებად სტაჟირებაზე.

- სტაჟირების შრომის პირობები

სტაჟირება შეიძლება იყოს ანაზღაურებადი ან ანაზღაურების გარეშე. განსაზღვრულია სტაჟირების ფიქსირებული სამუშაო დრო. სტაჟიორი ვალდებულია დაიცვას შესაბამისი შინაგანაწესი, მომსახურების სტანდარტები და შესაბამისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

2.3.3. იურიდიული პრაქტიკა საქართველოს პროკურატურაში

საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების პროგრამას აწესრიგებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს გამოცემული ბრძანება №43.

- სტაჟირების მიზანი

სტაჟირების პროგრამის მთავარი მიზანია „კადრების მომზადება საპროკურორო-საგამოძიებო საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულებისთვის.“ სტაჟირების პროგრამის მიზანი ასევე არის ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და მომზადება, მათი პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული განვითარება.

- სტაჟირების წინაპირობები

სტაჟიორი შეიძლება გახდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან მინიმუმ სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი. სტაჟირების წინაპირობაა, რომ პირი არ იყოს ნასამართლევი და იყოს საქართველოს მოქალაქე. პირმა ასევე უნდა წარადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების და სტუდენტობის დამადასტურებელი ცნობა.

- სტაჟირებაზე მიღება

სტაჟირებაზე მიღება ხდება კომისიის მიერ. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავარი პროკურორი. კომისიაში საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების გარდა, შეიძლება შედიოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ასევე სხვა არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლები.

სტაჟირებაზე მიღება ხდება საჯარო კონკურსის წესით. კონკურსის საფუძველზე შერჩევა შეიძლება მოხდეს ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე. შერჩევის ფორმის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავარი პროკურორი. გასაუბრებაზე არ დაიშვება კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს ტესტირების/წერითი დავალების ეტაპს. გასაუბრებაზე მოწმდება როგორც პროფესიული, ისე პიროვნული უნარ-ჩვევები.

კომისია წარმატებულ კანდიდატებს წარუდგენს მთავარ პროკურორს, რომელიც განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ნიშნავს კანდიდატებს სტაჟიორებად საქართველოს პროკურატურის ორგანოებში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის რეკომენდაციით პირი შეიძლება დაინიშნოს სტაჟიორად საქართველოს პროკურატურის ვაკანტურ თანამდებობაზე.

სტაჟიორობის კანდიდატები გადიან ტრენინგს, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი. ტრენინგის შედეგების გათვალისწინება ხდება სტაჟიორად დანიშვნისას.

- სტაჟირების ხანგრძლივობა და სამუშაო დატვირთვა

სტაჟირების ხანგრძლივობა შეადგენს 1 წელს. ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა ითვლება შრომით სტაჟში.

- სტაჟირების შინაარსი

სტაჟირების შინაარსი (სამუშაო აღწერილობა) განისაზღვრება ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის რეკომენდაციით სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელის მიერ.

სტაჟიორი ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ ატარებს საგამოძიებო და საპროკურორო მოქმედებებსა და ღონისძიებებს. სტაჟიორი ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ასევე მონაწილეობს საქართველოს პროკურატურის შესაბამისი ორგანოს მუშაობაში, და შესაბამისი ორგანოს მიერ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენაში.

სტაჟიორი თვეში ერთხელ წარადგენს საქმიანობის ანგარიშს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში.

სტაჟირების ხელმძღვანელი არის სტაჟიორის საქმიანობის უშუალო ზედამხედველი, ის განსაზღვრავს დავალებებსა და მათი შესრულების ვადებს, აძლევს სტაჟიორს მითითებებს. ხელმძღვანელი სტაჟიორს პერიოდულად აწვდის სასწავლო თემატიკას, აძლევს დავალებებს და შესაბამისად აკონტროლებს სამუშაოს აღწერილობის შესრულებას. სტაჟიორს ასევე შეიძლება ჩაუტარდეს დამატებითი ტრენინგი.

- სტაჟირების შეფასება

მთავარი პროკურორი განსაზღვრავს სტაჟიორის ხელმძღვანელს, რომელიც უშუალოდ არ ხელმძღვანელობს მის საქმიანობას და თავის მხრივ განსაზღვრავს სტაჟიორის უშუალო ხელმძღვანელს. სტაჟირების ხელმძღვანელი 3 თვის გასვლის შემდეგ სტაჟიორის საქმიანობის შესახებ მიმდინარე ანგარიშს აწვდის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს, დეპარტამენტის უფროსი კი მოწოდებულ ანგარიშს განიხილავს სტაჟიორთან ერთად.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის რეკომენდაციის საფუძველზე, მთავარი პროკურორის ბრძანებით სტაჟიორი შეიძლება 6 თვის შემდეგ (ვადაზე ადრე) დაინიშნოს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობაზე. სტაჟირების ვადა ითვლება შრომით სტაჟში.

სტაჟირების საერთო ვადის გასვლის შემდეგ, სტაჟირების მიმდინარეობისას მიღებული შეფასებების გათვალისწინებით, კომისია ატარებს გასაუბრებას და ახდენს სტაჟიორთა შეფასებას.

თუ სტაჟირების პერიოდში შეძენილი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები შეესაბამება საქართველოს პროკურატურის მუშაკებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, პირი

კომისიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე მთავარი პროკურორის მიერ ინიშნება არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე.

- სტაჟირების შრომის პირობები

სტაჟირება არის ანაზღაურებადი. განსაზღვრულია სტაჟირების ფიქსირებული სამუშაო დრო. სტაჟიორი ვალდებულია დაიცვას შესაბამისი საქმიანობის მარეგულირებელი აქტები.

2.3.4. იურიდიული პრაქტიკა სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის დადგენილება №410 აწესრიგებს საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს. დადგენილებით განისაზღვრა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სტაჟირების გავლის წესი და პირობები[10]. სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა შეიქმნა სახელმწიფო სექტორში სტაჟირების ერთიანი სტანდარტის შემუშავების მიზნით. სახელმწიფო სექტორში სტაჟირების კონკურენციისა და ხელმისაწვდომის გაზრდისთვის. შესაბამისად, პროგრამაში მონაწილეობს ყველა პროფესიის წარმომადგენელი, მათ შორის სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამათავრებელი კურსის სტუდენტებიც.

- სტაჟირების მიზანი

სტაჟირების პროგრამის მთავარი მიზანია საჯარო დაწესებულებაში დასაქმების მსურველებისთვის პროფესიული გამოცდილების მიღების შესაძლებლობის შექმნა, სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, სტუდენტებისთვის საჯარო მოსამსახურის ეთიკური ნორმების გაზიარება, სტუდენტების დასაქმების შესახებ ცნობიერების ამაღლება და საჯარო დაწესებულებისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება.

- სტაჟირების წინაპირობები

[10] თუმცა აღნიშნული წესი არ ვრცელდება „საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში (გარდა აღნიშნული სასამართლოების აპარატებისა), საქართველოს პროკურატურაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - აღსრულების ეროვნულ ბიუროში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში, საქართველოს დაზვერვის სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, სამხედრო სამსახურში, დიპლომატიურ სამსახურში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემის ორგანოებში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბსა და სახმელეთო ჯარებში სტაჟირების გავლის საკითხებზე.

სტაჟიორი შეიძლება გახდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელიც ფლობს ქართულ ენას, აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება - GPA 3.0, ან მინიმუმ B შეფასება, რომელიც გამოითვლება საშუალო არითმეტიკული წესით.

სტაჟიორთა რაოდენობა განისაზღვრება საჯარო დაწესებულების კვოტით, რომელიც არ უნდა იყოს შტატით დასაქმებულთა 10%-ზე ნაკლები.

- სტაჟირებაზე მიღება

სტაჟირებაზე მიღება ხდება ორ ნაკადად, სექტემბერსა და მარტში. სტაჟირებაზე მიღება ხდება საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდის საშუალებით მსურველის განცხადების საფუძველზე. მსურველები, რომლებიც ვერ განაწილდნენ ვაკანტურ ადგილებზე ირიცხებიან რეზერვში და სტაჟირების ხელახალ ნაკადში ავტომატურად გადიან სტაჟირებას. საჯარო სამსახურის ბიურო ასრულებს კოორდინატორის ფუნქციას საჯარო დაწესებულებასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის.

- სტაჟირების ხანგრძლივობა და სამუშაო დატვირთვა

სტაჟირების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 1 თვიდან 6 თვემდე. სტაჟირებას აქვს ერთჯერადი ხასიათი.

- სტაჟირების შინაარსი

სტაჟირების ხელმძღვანელი არის სტაჟიორის საქმიანობის უშუალო ზედამხედველი, ის განსაზღვრავს დავალებების შინაარსს და მათი შესრულების ვადებს, ასევე ეხმარება სტაჟიორს დავალებების შესრულებაში. სტაჟიორი მონაწილეობას იღებს საკითხების გადაწყვეტაში და დოკუმენტების შედგენის პროცესში.

- სტაჟირების შეფასება

სტაჟიორს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც მის საქმიანობაზე ახორციელებს ზედამხედველობას სამუშაო აღწერილობის ფარგლებში.

სტაჟირება შეიძლება აისახოს სასწავლო კრედიტში შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესის საფუძველზე.

სტაჟირების ხელმძღვანელი სტაჟირების შედეგებს აცნობებს საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელს, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგენს ანგარიშს. სტაჟიორის საქმიანობის შესახებ ანგარიში ასევე იგზავნება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან. სტაჟირების დასრულების შემდეგ სტაჟიორის საქმიანობა ფასდება დადებითად ან

უარყოფითად. დადებითი შეფასების შემთხვევაში მას ეძლევა სტაჟირების წარმატებით გავლის სერტიფიკატი.

- სტაჟირების შრომის პირობები

სტაჟირება არ არის ანაზღაურებადი. სტაჟირების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზნით საჯარო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თანხმდებიან სტაჟიორის გრაფიკის შესახებ. სტაჟიორი ვალდებულია დაიცვას საჯარო დაწესებულების შინაგანაწესი და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საიდუმლოების პრინციპი.

2.3.5. იურიდიული პრაქტიკა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში იურიდიული პრაქტიკის გავლა შესაძლებელია პროფესიული ეთიკის კლინიკაში და ასოციაციის ადმინისტრაციაში.

პრაქტიკის ფარგლებში ასოციაცია სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ სწავლების ორგანიზებაში, რაც სტუდენტს ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. პრაქტიკის გავლის შემდეგ ხშირად ფორმდება მომსახურების ხელშეკრულებები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სხვადასხვა პროექტების კოორდინატორები ხდებიან. სტუდენტებს ჰყავთ მენტორები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სტუდენტის საქმიანობას, აფასებენ მის საქმიანობას და უნარებს და ცდილობენ მისი უნარებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე განსაზღვრონ მისი ამოცანები. უმეტესწილად სტაჟირება ორგანიზაციული უნარების განვითარებას ემსახურება და არ გულისხმობს უშუალოდ სამართლებრივ პრობლემებზე მუშაობას.

ადვოკატთა ასოციაციაში ასევე არსებობს პროფესიული ეთიკის კლინიკა. ეთიკის კომისია კლინიკის ფარგლებში თანამშრომლობს 7 უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების საფუძველზე. მემორანდუმებში დეტალურად არის მოწესრიგებული უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლები, განსაზღვრულია მონაწილე სტუდენტების რაოდენობა. კლინიკის წინაპირობაა საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა, რაც თავის მხრივ გულისხმობს შესაბამის მატერიალურ-სამართლებრივ ცოდნასაც. კლინიკაში მონაწილეობის წინაპირობა არ არის სტუდენტის მიერ ადვოკატის პროფესიულ ეთიკის ნორმების ცოდნა, რასაც სტუდენტები კლინიკაში მონაწილეობისას სწავლობენ. კლინიკის საფუძველზე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, მათი უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსით განსაზღვრული წესების მიხედვით, აგროვებენ სხვადასხვა ოდენობით სასწავლო კრედიტებს. სტუდენტები ამზადებენ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების პროექტებს და ესწრებიან ეთიკის კომისიის სხდომებს.

2.4. იურიდიული პრაქტიკა და სტაჟირების პროგრამები კერძო სექტორში

კერძო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ იურიდიული პრაქტიკის პროგრამის მიზანია სტუდენტმა ისწავლოს ორგანიზაციაში ქცევა, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სტრესთან გამკლავება, განივითაროს ემოციური ინტელექტი და იმუშაოს რეალურ საქმეებზე, შეიძინოს ორგანიზაციული უნარები, დააკვირდეს როგორ ხდება ორგანიზაციაში თანამშრომლებსა და კლიენტებს შორის კომუნიკაცია და საქმის დაგეგმვა, ისწავლოს საკუთარი შრომის ორგანიზებული ფორმით აღრიცხვა და განივითაროს სხვა პროფესიული უნარები. კერძოდ, პროგრამა სტუდენტს ეხმარება საკუთარი პროფესიული ინტერესების იდენტიფიცირებასა და უკეთ შეცნობაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ასევე იუმჯობესებენ კვლევის და ანალიზის უნარებს.

კერძო ორგანიზაციის მიზანია სტაჟირებაზე მიიღოს ახალგაზრდა კადრები, რომლებიც კარიერას განაგრძობენ ორგანიზაციაში. შესაბამისად სტაჟირების კონკურსი ცხადდება თუ ორგანიზაციაში არსებობს ახალი კადრების საჭიროება. იურიდიულ კომპანიაში სტაჟირებისას, როგორც წესი მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის შედეგად სტაჟიორს ყველაფერზე უწევს მუშაობა.

მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში არსებობს სტაჟირების პროგრამა სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით. სტაჟირება როგორც წესი არის ანაზღაურებადი და სტაჟიორი მუშაობს რეალურ საქმეებზე. სტაჟიორები ძირითადად შეიმუშავებენ სამართლებრივი დოკუმენტების პროექტებს და ესწრებიან სასამართლო პროცესებს. სტაჟირება გრძელდება 6 თვე და შემდეგ შეიძლება საუკეთესო შედეგების მქონე სტაჟიორი დასაქმდეს ორგანიზაციაში. სტაჟიორი ვალდებულია კვირაში იმუშაოს 20 საათი. სტაჟირებაზე მიღება ხდება ღია კონკურსის წესით, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს. საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით სტაჟიორების შერჩევა ხდება საკონსტიტუციო სამართლის ოლიმპიადის საფუძველზე, რომელიც ასევე საჯაროდ ცხადდება.

კერძო კომპანიებში მაღალი სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით არსებობს სრული სამუშაო დატვირთვით მუშაობის საჭიროება და შესაბამისად სტუდენტს უნდა შეეძლოს მისი სასწავლო გრაფიკის გათვალისწინებით სრული დატვირთვით მუშაობა. კერძო იურიდიულ კომპანიებში სტაჟიორს ფორმალიზებულად აცნობენ ორგანიზაციის საქმიანობას და სტრუქტურას (ინდუქცია), ასევე სამართლის აუდიტორული კომპანიის იურიდიულ სამსახურში სტაჟიორი ეცნობა ოფიციალური დოკუმენტების გაგზავნის წესსა და ფორმას. ასეთ ორგანიზაციაში სტაჟიორთან შეიძლება გაფორმდეს 1 წლიანი ხელშეკრულება. სტაჟირება ანაზღაურებადია და სტაჟიორი არის სრულ განაკვეთზე დასაქმებული.

კერძო კომპანიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტებიდან სტუდენტების მიზანმიმართული მოზიდვის კამპანია ნაკლებად ეფექტურია და

სტაჟირების პროგრამით უფრო მეტად დაინტერესებული თავად უნივერსიტეტების წარმომადგენლები უნდა იყვნენ და მეტად უნდა მოერგონ კერძო სექტორის თავისებურებებს.

კერძო კომპანიებში როგორც წესი არ არსებობს სტაჟირების ფორმალიზებული პროგრამა. სტაჟიორის აყვანა ხდება საჭიროების შესაბამისად, ასევე არ არსებობს სტაჟიორის აყვანის ფორმალიზირებული მექანიზმი.

კერძო კომპანიების წარმომადგენლები ასევე აღნიშნავენ, რომ სტაჟირების პროგრამების ფარგლებში უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და სტუდენტების დიდი ოდენობით სტაჟირების პროგრამაში ჩართვა არის რთული და უფრო ეფექტიანია, როდესაც თავად სტუდენტი მოიძიებს სტაჟირების შესაძლებლობებს, რადგან მოტივირებულია და შესაბამის კერძო ორგანიზაციაში უნდა სტაჟირების დაწყება და მისი ინტერესის საფუძველზე პროაქტიულად მიმართავს ამ ორგანიზაციას. არის შემთხვევები, როდესაც კერძო ორგანიზაციები ინდივიდუალურად მიმართავენ უნივერსიტეტებს და სტუდენტებს თავად არჩევენ.

კერძო ორგანიზაციისთვის მნიშვენლოვანია, რომ მისი ინტერესი იყოს გათვალისწინებული ფორმალიზებული წესების შემუშავებისას. თუ კერძო ორგანიზაციას დაემატება ფორმალური ბიუროკრატიული ვალდებულებები, შეიძლება ორგანიზაციამ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისგან საერთოდ შეიკავოს თავი და სხვა გზით აარჩიოს სტაჟიორი. თუ უნივერსიტეტებს სურთ, რომ დამსაქმებელმა შეაფასოს სტუდენტის საქმიანობა, შეფასების დოკუმენტი უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი და არ უნდა ითხოვდეს დიდ ძალისხმევას დამსაქმებლისგან.

კერძო ორგანიზაციის მხრიდან პრობლემა არ არის, თუ უნივერსიტეტი პრაქტიკის ან სტაჟირების პროგრამის საფუძველზე სტუდენტს მიანიჭებს სასწავლო კრედიტს. თუმცა, კერძო ორგანიზაცია საკუთარი ინიციატივით არ აიღებს დამატებით ვალდებულებებს და არ გააფორმებს უნივერსიტეტებთან მემორანდუმს, რომლითაც სტუდენტის სტაჟირების ვალდებულებას აიღებს ან აიღებს ვალდებულებას, რომ სტუდენტი ამუშაოს კონკრეტული ტიპის საქმეზე ან სამართლებრივ პრობლემაზე.

სტაჟირების პროგრამაში სტუდენტის შერჩევა ხდება გასაუბრებისა და წერითი დავალებების საფუძველზე, რის დროსაც როგორც წესი მოწმდება პროცესუალური ნორმებისა და სამართლის თეორიული ცოდნა.

2. 5. იურიდიული პრაქტიკის სხვა პროგრამები

იურიდიული პრაქტიკის პროგრამების ფარგლებში ასევე შესაძლებელია სამართლის კვლევით და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ამ ორგანიზაციებს აქვთ პროგრამები, რომლებმაც სტუდენტებს

მომავალი დასაქმების კუთხით მნიშვნელოვანი შესაძლებლობები შეიძლება შესთავაზონ.

- იურიდიული პრაქტიკა კვლევით ორგანიზაციებში

იურიდიული პრაქტიკის განხორციელება ასევე შესაძლებელია კვლევითი ორგანიზაციების პროექტებში. ასეთ პროექტებში სტუდენტი სწავლობს სამართლებრივ ანალიზს, კვლევას, საჯარო ინფორმაციის მოძიებას, იძენს ინეტერპერსონალურ უნარებს, მონაწილეობას იღებს საჯარო შეხვედრებში და სხვა აქტივობებში.

- იურიდიული პრაქტიკა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში

ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ სასამართლოს მონიტორინგის და სტრატეგიული სამართალწარმოების პროექტები. მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სისტემატურად ახორციელებს სასამართლოს მონიტორინგის პროექტებს სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ სამართლებრივი კვლევის, ანალიზის, სასამართლოში წარმომადგენლობის გამოცდილება.

3. საუკეთესო პრაქტიკა

3.1.უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის იურიდიული პრაქტიკის კურსი

წინამდებარე თავი განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის იურიდიული პრაქტიკის კურსს. უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა აშშ-ში ცნობილია იურიდიული პრაქტიკის მიმართ ინოვაციური მიდგომებით. კერძოდ, უოშბორნის სამართლის სკოლა აშშ-ში პირველია, რომელიც სამართლის სტუდენტებს სთავაზობს სამართლის პროგრამის მესამე, დამამთავრებელი კურსი სრულად დაუთმონ იურიდიულ პრაქტიკას და პრაქტიკის სანაცვლოდ მოიპოვონ სასწავლო კრედიტები. სტუდენტს პროგრამით შეუძლია კამპუსს გარეთ გაიაროს იურიდიული პრაქტიკა, ხოლო კურიკულუმით სავალდებულო საგნები აითვისოს online რეჟიმში.[11]

აღნიშნული კურსი წარმოდგენას შეუქმნის საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებს კურსის შინაარსისა და მისი ორგანიზაციული მხარის შესახებ, რის საფუძველზეც, უნივერსიტეტები სურვილის შემთხვევაში შეძლებენ იურიდიული პრაქტიკის კურსების დოკუმენტების შემუშავებასა და არსებული კურსების კიდევ უფრო სრულყოფას.

- კურსის ზოგადი მიზანი

იურიდიული პრაქტიკის კურსის მიზანია სტუდენტმა, კამპუსის გარეთ, რეალურ სამუშაო გარემოში შეიძინოს იურიდიული განათლების მიღების გამოცდილება. იურიდიული პრაქტიკის კურსში სტუდენტი ირგებს პროფესიონალის როლს, მუშაობს რეალურ საქმეებზე და ასრულებს რეალურ დავალებებს, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაზე ახდენს ზეგავლენას. როგორც პროფესიონალს, იურიდიული პრაქტიკის დროს სტუდენტს მოეთხოვება პროფესიული ეთიკის ნორმებისა და კონფიდენციალობის დაცვა. იურიდიული პრაქტიკა სტუდენტს ეხმარება დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილების, რეკომენდაციებისა და კონტაქტების შეძენაში.

- კურსის მიზანი და შედეგები

იურიდიული პრაქტიკის კურსში სტუდენტი იძენს დროის მართვისა და შემჭიდროვებულ დროში სამართლებრივ საკითხებზე მუშაობის უნარს, რაც ვლინდება მის მიერ ყოველ კვირაში წარდგენილ სამუშაო საათების აღრიცხვის ანგარიშებში და კურსის კოორდინატორთან დროულად წარდგენილ პრაქტიკის ანგარიშებში.

---

[11] დეტალურად გაეცანით http://washburnlaw.edu/admissions/thirdyearanywhere/index.html ასევე http://www.nationaljurist.com/prelaw/washburn-law-launching-third-year-anywhere-enrollment-option

სტუდენტს უყალიბდება პროფესიული იდენტობა და ეთიკური პროფესიული საქმიანობის უნარი, რაც ვლინდება მის მიერ წარდგენილ რეფლექსიურ ანგარიშებში (სტუდენტი სულ 6 ანგარიშს წარადგენს).

სტუდენტს უვითარდება პროფესიული მიზნის დასახვისა და თვითკრიტიკის უნარები, რაც დასტურდება სტუდენტის მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიშით, სადაც სტუდენტი აფასებს პრაქტიკის მიმართ მის მოლოდინებსა და მიზნებს, პრაქტიკის პროცესს, შეძენილ გამოცდილებას და პროგრამას.

სტუდენტი ვალდებულია იურიდიული პრაქტიკის განმავლობაში დაიცვას განსაზღვრული ვადები და დოკუმენტები წარადგინოს შესაბამისი მოთხოვნების დაცვით, რაც დადგენილია კურსის სილაბუსით. სტუდენტი იურიდიული პრაქტიკის დროს მუშაობს მოქმედ პრაქტიკოს იურისტებთან ერთად და კურსის ჯგუფის შეხვედრაზე განიხილავს ამ გამოცდილებით შეძენილ სარგებელს.

- კურსის ორგანიზება

კურსის დასაწყისში იმართება სტუდენტებთან ღია შეხვედრა. სტუდენტები იღებენ კურსის დოკუმენტებს და კურსის დაწყებისთვის აუცილებელი დოკუმენტების შევსებისთვის ეძლევათ ერთი კვირა. ერთი კვირის შემდეგ იმართება მეორე შეხვედრა, სადაც სტუდენტები კურსის კოორდინატორს აძლევენ შევსებულ ფორმას კურსში მონაწილეობის მოთხოვნის შესახებ და იურიდიული პრაქტიკის გეგმის შესახებ (დანართი N1) და სტუდენტის თანხმობისა და პრაქტიკაზე გაშვების შესახებ (დანართი N2). სასურველია სემესტრის დაწყებამდე დაინტერესებულმა სტუდენტმა მიმართოს იურიდიული პრაქტიკის კოორდინატორს და მასთან განიხილოს მომავალი სემესტრის იურიდული პრაქტიკის შესაძლებლობები.
იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების მოძიება ხდება შემდეგი ფორმით:

- სტუდენტების მიერ პრაქტიკის მოძიება;
- კურსდამთავრებულების მიერ რეკომენდაციების საფუძველზე პრაქტიკის შესაძლებლობების მოძიება;
- კარიერული ცენტრის მიერ პრაქტიკის მოძიება;
- ორგანიზაციებში არსებული პრაქტიკის პროგრამასთან თანამშრომლობა;
- ორგანიზაციისადმი პირდაპირ მიმართვის (უნივერსიტეტის დახმარებით) გზით პრაქტიკის მოძიება;

- კურსის მოთხოვნები

სტუდენტმა უნდა შეასრულოს იურიდიული პრაქტიკის კურსით განსაზღვრული სამუშაო საათების მინიმალური მოთხოვნები და ასევე კურსით განსაზღვრული ქვევით მოცემული მოთხოვნები:

- პირველ შეხვედრაში მონაწილეობა, შემდეგ ორ ჯგუფურ შეხვედრაში მონაწილეობა, რომლებიც გაიმართება 3 კვირის დაცილებით. შეხვედრებზე განიხილება იურიდიული პრაქტიკის დროს მიღებული ინდივიდუალური გამოცდილება და ბოლო შეხვედრაზე ხდება მოლოდინებისა და გამოცდილების შეჯამება;
- სტუდენტის მიერ რეფლექსიური ანგარიშების წერილობითი ფორმით დროულად წარდგენა (დანართები N3,4,5,6,7);
- პირველი შეხვედრის დროს მიღებული ფორმების შევსება და ერთი კვირის შემდეგ კოორდინატორისთვის შევსებული ფორმების გადაცემა (დანართები N1 და N2);
- კურსის დასრულებისას იურიდიული პრაქტიკის შევსებული სერტიფიკატის წარდგენა (დანართი N10);
- სტუდენტი დამატებით ვალდებულია პრაქტიკის კოორდინატორს აცნობოს მისი სახლისა და სამსახურის მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტის მისამართი;
- სტუდენტი ვალდებულია პრაქტიკის კოორდინატორს აცნობოს იურიდიული პრაქტიკის სამუშაო დროის შესახებ, იურიდიული პრაქტიკის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში.

- შრომის აღრიცხვის ფორმა

სტუდენტი ვალდებულია კურსით განსაზღვრულ ვადაში, ყოველ კვირას წარადგინოს შევსებული შრომის აღრიცხვის ფორმა, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია პრაქტიკის დროს მისი შრომითი საათებისა და მის მიერ შესრულებული დავალებების შესახებ (დანართი N8).

- საბოლოო ანგარიში

კურსის დასასრულს სტუდენტი ვალდებულია წარადგინოს 8-10 გვერდის მოცულობის საბოლოო ანგარიში, სადაც შეაჯამებს პრაქტიკის დროს მის გამოცდილებას. შესაბამისი ფორმით განსაზღვრულია შეკითხვები, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება გამოცდილების განხილვაში (დანართი N7). კურსით განსაზღვრულია საბოლოო ანგარიშის კურსის კოორდინატორისთვის წარდგენის თარიღი და დრო.

- კონფიდენციალობა

იურიდიული პრაქტიკის დროს სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია კონფიდენციალური ინფორმაცია და მასალები. სტუდენტი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ინფორმაცია და მასალები, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა იურიდიული პრაქტიკის დროს; სტუდენტი ასევე ვალდებულია გაეცნოს ორგანიზაციაში მოქმედი პროფესიული ეთიკის ნორმებს

და დაიცვას ამ ნორმების შესაბამისად მისთვის ხელმისაწვდომი მასალებისა და ინფორმაციის საიდუმლოება.

- პრაქტიკანტის შეზღუდვები

იურიდიული პრაქტიკის დროს სტუდენტს ელექტრონული, პირადი, სატელეფონო ან საფოსტო კომუნიკაცია აქვს კლიენტებთან ან პოტენციურ კლიენტებთან, სასამართლოსთან ან სხვა ადვოკატებთან. ასეთი კომუნიკაციისას სტუდენტი თავს პრაქტიკანტად წარადგენს. სტუდენტი ვალდებულია ასეთი კომუნიკაციის დროს იყოს მაქსიმალურად ყურადღებით, რომ არ გასცდეს მისი საქმიანობის ფარგლებს. ეჭვის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია პრაქტიკის ხელმძღვანელთან გადაამოწმოს მისი საქმიანობის ფარგლები.

- პროფესიონალიზმი: ოფისის გარემო და ეტიკეტი

სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იურიდიული პრაქტიკა მიმდინარეობს პროფესიულ გარემოში, სადაც არსებობს დაწერილი/დაუწერელი ქცევის წესები ჩაცმის კულტურა, ოფისის მუშაობის წესები (ვინ ვის აბარებს ანგარიშს, როგორია სამუშაო კულტურა) და ეტიკეტი (ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობები). სტუდენტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ ის წარმოადგენს სამართლის სკოლას და შესაბამისად მისი ქცევა აისახება მომავალში სხვა სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობებზე. თუ იურიდიული პრაქტიკის დროს სტუდენტს ექმნება ოჯახური ან პირადი პრობლემები, ის ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს პრაქტიკის კოორდინატორს და პრაქტიკის ხელმძღვანელს.

- კურსის შეფასება

იურიდიული პრაქტიკა ფასდება ჩათვლის სისტემით, იურიდიული პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტი იღებს სასწავლო კრედიტს. დამსაქმებელი იურიდიული პრაქტიკის დასასრულს აფასებს სტუდენტის საქმიანობას განსაზღვრული ფორმის შესაბამისად (დანართი N9)

- კურსის პირობები

იურიდიული პრაქტიკის კურსისთვის სავალდებულოა, რომ

  - სტუდენტის საქმიანობას ზედამხედველობას უწევდეს მოქმედი ადვოკატი;
  - სტუდენტი არსებითად უნდა ასრულებდეს იურიდიულ საქმიანობას ან ადვოკატირებას (მათ შორის საკანონმდებლო ორგანოში)

- ხელმძღვანელობა

იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევისას აუცილებელია, რომ მენტორობის სურვილი და ინტერესი თავად გამოთქვას თანამშრომელმა. უნივერსიტეტში განგრძობადი იურიდიული განათლების კურსებში შესაძლებელია ადვოკატებთან თანამშრომლობების წამოწყება თუ ისინი თავად გამოთქვამენ მენტორობის სურვილს. ასევე მოსამართლეებს ან სხვა ადვოკატებს შეუძლიათ თავად გამოიჩინონ ინიციატივა.

დანართების სახით მოცემულია კურსის სრული დოკუმენტაცია, რომელიც სტუდენტმა, ზედამხედველმა და პრაქტიკის კორდინატორმა ერთობლივად უნდა შეავსონ.

3.2. საქართველოში არსებულ იურიდიული პრაქტიკის კურსებთან შედარება

უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროგრამა თვისებრივად მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში არსებული მსგავსი პროგრამებისგან.

- სტუდენტის პროფესიულ მიზნებზე ინდივიდუალურად მორგებული პროგრამა

საქართველოს იურიდიული პრაქტიკის კურსებში ნაკლებად ჩანს პირდაპირი კავშირი კურსის მიზანსა და კურსით კონკრეტულად განსაზღვრულ ვალდებულებებში, უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კურსის მიზანი და მეთოდები კი ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს და აისახება კურსით კონკრეტულად განსაზღვრულ მოქმედებებში. მაგალითად, კურსის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტის ორგანიზაციული უნარების განვითარება, რაც უნდა გამოიხატოს სტუდენტის მიერ საკუთარი შრომის აღრიცხვაში, საქმიანობის შესახებ განსაზღვრულ დროში რეფლექსიური ანგარიშების წარმოდგენაში. ამ მოქმედებების განხორციელება კი დეტალურად არის ორგანიზებული, რაც მოიცავს შესაბამის ფორმებს და ამ ფორმების წარდგენის პირობების შესახებ კონკრეტულად განსაზღვრულ მარტივ წესებს. კურსის ერთ-ერთი მიზანია ასევე პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, რაც უნდა გამოიხატოს პრაქტიკის დროს კონფიდენციალობის დაცვაში, ასევე რეფლექსიურ ანგარიშში ორგანიზაციაში მოქმედი პროფესიული ეთიკის დილემების შესახებ სტუდენტის მიერ საკუთარი გამოცდილების გააზრებაში.

საქართველოში შესწავლილი კურსებისგან განსხვავებით, სადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია წინასწარ ადგენს კურსის პროგრამას, უოშბორნის იურიდიული პრაქტიკის კურსი მაქსიმალურად მორგებულია ინდივიდუალური სტუდენტის საჭიროებებზე. კურსის დასაწყისში კოორდინატორი და სტუდენტი ერთობლივად განსაზღრავენ სტუდენტის ინდივიდუალურ მიზნებს, რომლის მიღწევაც სტუდენტს კურსის განმავლობაში სურს. პროგრამის ამოსავალი სტუდენტის პროფესიული მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი იურიდიული პრაქტიკის

გამოცდილების მიღებაა. ამ გზით სტუდენტი სწავლობს პროფესიული მიზნების ინდივიდუალურად ფორმირებას. არ არსებობს წინასწარ უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შინაარსობრივი პროგრამა, რომელსაც სტუდენტი ერგება. კურსის შინაარსი ღიაა, ხოლო დავალებების სახეები და ღონისძიებები არ არის ვიწროდ განსაზღვრული. ძირითადი მოთხოვნა არის ზოგადი ხასიათის, კერძოდ კი სტუდენტი უნდა ეწეოდეს იურიდიულ საქმიანობას.

- პროფესიული და იურიდიული განათლების დაბალანსებული გამოცდილება

კურსი თანმიმდევრულად უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა დააგროვოს დაბალანსებული პროფესიული და იურიდიული განათლების გამოცდილება. ამისთვის საქართველოსგან განსხვავებით, სადაც სტუდენტის შრომა იურიდიული პრაქტიკის კურსების დასასრულს ფასდება, უოშბორნის უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი ითვალისწინებს სტუდენტის საქმიანობის პერიოდული სახით და უწყვეტ რეჟიმში შეფასებას სამი აქტორის მიერ: კურსის კოორდინატორი, სტუდენტი და პრაქტიკის ხელმძღვანელი. სტუდენტის რეფლექსიური სწავლების კუთხით ძირითადი პასუხისმგებელი პირია კურსის კოორდინატორი. ის უწევს კურსის განმავლობაში სტუდენტებთან პერიოდულ ჯგუფურ შეხვედრებს ორგანიზებას და სტუდენტების მიერ წარდგენილი რეფლექსიური ანგარიშების განხილვის გზით ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის საქმიანობიდან მაქსიმალურად მეტი უნარების განვითარების შესაძლებელობების შექმნაში. სტუდენტი პასუხისმგებელია საკუთარი გამოცდილებიდან სწავლაზე და ვალდებულია რეფლექსიური ანგარიშების საფუძველზე გაიაზროს მისი საქმიანობა ორგანიზაციაში, ხოლო პრაქტიკის ხელმძღვანელი წინასწარ განსაზღვრული ფორმის საფუძველზე აფასებს სტუდენტის საქმიანობას და ასევე პერიოდულად სპეციალურ შეხვედრებზე აძლევს მას ზეპირ უკუკავშირს.

- სტუდენტის საქმიანობის უწყვეტი შეფასება

როგორც წინა აბზაცში აღინიშნა სტუდენტის საქმიანობის შეფასება არ ხდება კურსის დასასრულს და შეფასება მიმდინარეობს უწყვეტად. შეფასების პროცესი კურსით დეტალურად არის წინასწარ ორგანიზებული. შეფასებაში ძირითადი დატვირთვა გადადის კურსის კოორდინატორზე და სტუდენტზე. პრაქტიკის ხელმძღვანელს არ ევალება ვრცელი ანგარიშების მომზადება და ძირითადად ადასტურებს სტუდენტის მიერ შევსებულ ფორმებს, საქმიანობის შეფასების ფორმის გარდა. სტუდენტმა ყოველ კვირაში უნდა წარადგინოს სამუშაო აქტივობებზე დახარჯული დროის აღწერა და ასევე რამდენიმე კვირაში ერთხელ უნდა წარადგინოს რეფლექსიური ანგარიში პრაქტიკის კურსში მისი საქმიანობის შესახებ. ამას გარდა, კურსის დანართები მოიცავს დამატებით შეკითხვებს რეფლექსიური ანგარიშებისთვის, რომლებიც სტუდენტს ეხმარება საკუთარი ქცევის გააზრებასა და გამოცდილებიდან სწავლის უნარის განვითარებაში (დეტალურად იხილეთ თანდართული რეფლექსიური ანგარიშის ფორმები).

უწყვეტი შეფასების ციკლი სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს მაქსიმალური სარგებელი მიიღოს მისი საქმიანობიდან, რაც გამოიხატება როგორც საკუთარი სუსტი მხარეების აღქმის უნარის განვითარებაში ისე ამ სუსტი მხარეების განვითარების გზების იდენტიფიცირებაში.

- მოქნილი ორგანიზაციული პირობები, რაც ამარტივებს იურიდიული პრაქტიკის დაწყებას

იურიდიული პრაქტიკის დაწყება არსებითად მარტივია საქართველოში არსებულ პრაქტიკასთან შედარებით, სადაც კურსებში დეტალური პროგრამები ან წინასწარ განსაზღვრულია ან პრაქტიკის დაწყების პირობად ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის არსებობაა სავალდებულო. უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში იურიდიული პრაქტიკის კურსის დაწყება შესაძლებელია ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე, რისთვისაც განსაზღვრულია სტუდენტისა და ხელმძღვანელის მიერ ერთობლივად შესავსები მარტივი ფორმა (დეტალურად იხილეთ დანართი). შესაბამისად დამატებით ინდივიდუალური მემორანდუმის გაფორმება ან არსებობა არ არის პრაქტიკის დაწყების წინაპირობა. ხელმძღვანელი კი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადვოკატი.

- დამსაქმებლისთვის მოქნილი შეფასების სისტემა

ხელმძღვანელის ვალდებულებები მოიცავს საქმიანობის შინაარსობრივ ხელმძღვანელობას და ნაკლებად არის ორიენტირებული ფორმალური დოკუმენტების შევსებაზე. ხელმძღვანელი ავსებს უნივერსიტეტის კურსით დადგენილ (იხილეთ დანართი) შეფასების წინასწარ განსაზღვრულ ფორმას და ვალდებულია საქმიანობისას სტუდენტს პერიოდულად მისცეს ზეპირი უკუკავშირი. ხელმძღვანელი ნებაყოფლობით იღებს ხელმძღვანელობის ვალდებულებას.

საქართველოს უნივერსიტეტების გამოცდილებისგან განსხვავებით, უოშბორნის უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსი პრაქტიკის ადგილზე ხარისხის შემოწმებისთვის ითვალისწინებს კოორდინატორის ზეპირ ან/და ელექტრონულ წერილობით კომუნიკაციას პრაქტიკის ხელმძღვანელთან.

- კურსის წინაპირობა სამართლის ცოდნის გარდა, პროფესიული უნარებია

საქართველოსგან განსხვავებით, სადაც პრაქტიკის წინაპირობა როგორც წესი მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების ცოდნაა, უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის იურიდიული პრაქტიკის კურსში დამატებითი წინაპირობაა, რომ სტუდენტს შესწავლილი ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული უნარების კურსები, როგორიც არის პროფესიული ეთიკა, კლიენტების ინტერვიუება და სხვა.

4. ძირითადი მიგნებები

i. **უნივერსიტეტების მიერ იურიდიული პრაქტიკის კურსების შეთავაზება როგორც წესი ხდება სამაგისტრო პროგრამის საფეხურზე, საბაკალავრო პროგრამებში იურიდიული პრაქტიკის კურსები გამონაკლისის სახით არსებობს.**

იურიდიული პრაქტიკის თვისებრივი კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილე 11 უნივერსიტეტიდან საბაკალავრო საფეხურზე იურიდიული პრაქტიკის კურსი, სავალდებულო სახით, მხოლოდ 3 უნივერსიტეტში არსებობს, ხოლო არჩევითი სახით კი 2 უნივერსიტეტში. ამ ორი უნივერსიტეტიდან ერთში არჩევითი კურსი 2019 წლის აკადემიური სემესტრიდან დაიწყება, ხოლო მეორეში კი სტუდენტებს 2017 წლიდან შეეძლოთ კურსის არჩევა, თუმცა 2019 წლის სექტემბრის მონაცემებით კურსი მხოლოდ 5-მა სტუდენტმა აირჩია.

ამასთან, იურიდიული პრაქტიკის კურსები წლებია არსებობს გამოკითხული უნივერსიტეტების სამართლის სამაგისტრო პროგრამებში, კერძოდ 8 უნივერსიტეტში კურსი სავალდებულოა, ხოლო 3 უნივერსიტეტში კი კურსი არჩევითია.

ii. **სამართლის საბაკალავრო პროგრამების შესწავლილ კურიკულუმებში სტუდენტს იშვიათად აქვს შესაძლებლობა იურიდიული პრაქტიკის გარდა შეისწავლოს პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული უნარების სხვა კურსები.**

iii. **შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი თანმიმდევრულად ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებს იურიდიული პრაქტიკის და შემდგომ დასაქმებისთვის აუცილებელი პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.**

დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ ხშირად სტაჟირების და პრაქტიკის პროგრამებში ხვდებიან სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებსაც პროგრამით არ აქვთ გამომუშავებული მინიმალური პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევები, როგორიც არის სამართლებრივი ანალიზი და წერა, იურიდიული კვლევების წარმოების უნარი, ინფორმაციის მოპოვების უნარი და სხვა. შესაბამისად ისინი უპირატესობას ანიჭებენ კონკურსების საფუძველზე სტუდენტების ინდივიდუალურად შერჩევას. დამსაქმებლები ყურადღებას ამახვილებენ, რომ იურიდიული პრაქტიკის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს მატერიალურ-სამართლებრივ ცოდნასთან ერთად სხვა კურსების საფუძველზე უვითარებდეს მინიმალურ პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში იურიდიული პრაქტიკის კურსის წინაპირობაა, რომ

სტუდენტს ათვისებული ჰქონდეს პროფესიული უნარების განვითარების კურსები.

iv. **იურიდიული პრაქტიკა როგორც წესი ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და საჯარო დაწესებულებების ან კერძო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე.**

v. **ასეთი მემორანდუმების გაფორმების მიმართ საჯარო და კერძო ორგანიზაციებში არ არსებობს ერთიანი თანმიმდევრული პოლიტიკა. შესაბამისად, სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია იურიდიული პრაქტიკის კურსის გავლა.**

საჯარო და კერძო დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით მათი ორგანიზაციები ნაკლებად არიან მზად გააფორმონ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სტაჟირების ან იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით. ამის მიზეზი კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით სტუდენტების პრაქტიკული და პროფესიული უნარების სიმწირის გარდა, ასევე უნივერსიტეტების სურვილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების გზით წინასწარ შეთანხმდნენ პრაქტიკის პროგრამების დეტალურ შინაარსზე. ეს ორგანიზაციებისთვის დამატებით ბიუროკრატიულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და კერძო ორგანიზაციებში როგორც წესი დამსაქმებლები თავს იკავებენ ასეთი შეთანხმებებისგან. კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები ასევე აღნიშნავენ, რომ ხშირად უნივერსიტეტებს სურთ წინასწარ შეთანხმდნენ სტუდენტების განსაზღვრული რაოდენობისთვის პრაქტიკის შეთავაზებაზე. კერძო დამსაქმებლებს კი ურჩევნიათ კონკურსის გზით სტუდენტების პრაქტიკის ორგანიზება და მათი ინდივიდუალურად შერჩევა. კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ასევე კომპანიის სახელის გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციების გამო ისინი ხშირად უარს ამბობენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებაზე. თუმცა, დამსაქმებლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მოქნილი შეფასების მექანიზმების და თანამშრომლობის მოქნილი ფორმატების დამკვიდრება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ასეთი თანამშრომლობის განვითარებას და სტუდენტის მიერ სასწავლო კრედიტის მოპოვებას.

vi. **იურიდიული პრაქტიკის კურსებში იშვიათად არის შესაძლებელი სტუდენტის მიერ მოკლევადიანი პრაქტიკის გზით რამდენიმე ორგანიზაციაში მიღებული გამოცდილების აღიარება.**

მნიშვნელოვანი გამოწვევაა იურიდიული პრაქტიკის კურსების ისეთი ფორმით ორგანიზება, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს სხვადასხვა ორგანიზაციაში გაიაროს მცირეხნიანი, 4 ან 6 კვირით, პრაქტიკა და უნივერსიტეტის მიერ დაწესებული მინიმალური საათების მოთხოვნები შეასრულოს რამდენიმე

ორგანიზაციაში პრაქტიკის გამოცდილების დაგროვების გზით. ეს შესაძლებელი გახდება სტუდენტების შრომის პერიოდული (ყოველ კვირაში) აღრიცხვის სისტემის შემოღების გზით.

vii. **სტუდენტის მიერ იურიდიული პრაქტიკის რამდენიმე ორგანიზაციაში მოკლევადიანი გამოცდილების დაგროვების ფაქტობრივი შეუძლებლობა განპირობებულია ზოგიერთი იურიდიული პრაქტიკის კურსის ნაკლებად მოქნილი სამუშაო დროის აღრიცხვისა და შეფასების სისტემით.**

სტუდენტების მიერ იურიდიული პრაქტიკის თუ სტაჟირებისას შეძენილი ინდივიდუალური გამოცდილების აღიარება იშვიათად არის შესაძლებელი უნივერსიტეტების იურიდიული პრაქტიკის კურსებში. მაგალითად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის კლინიკის ფარგლებში გამოწვევად რჩება უნივერსიტეტებთან კრედიტების აღიარების მოქნილი სქემის შემუშავება, რომელიც სტუდენტის ინტერესებზე მაქსიმალურად იქნება მორგებული და მათ შესაძლებლობას მისცემს მოხდეს კლინიკაში მიღებული პრაქტიკული უნარების გამოცდილების საფუძველზე შესაბამისი კრედიტის მინიჭება. კლინიკის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ამ პროცესში გამოწვევად რჩება ზოგიერთ კურსში დაწესებული აუცილებელი საათების მოთხოვნა, რომელიც სტუდენტმა აუცილებლად ერთ ორგანიზაციაში უნდა დააგროვოს. ხშირად ამდენი საათის დაგროვება ვერ ხერხდება კლინიკაში. ამასთან იურიდიული პრაქტიკის კურსებში სხვადასხვა უნივერსიტეტს დაწესებული აქვს განსხვავებული შეფასების კრიტერიუმები, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ხელმძღვანელისთვის სტუდენტის საქმიანობის შეფასების პროცესს.

viii. **საჯარო დაწესებულებებში არსებული იურიდიული პრაქტიკის პროგრამები არ არის ყველა უნივერსიტეტის სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი.**

დამსაქმებლებთან შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ საჯარო დაწესებულებებში არსებობს იურიდიული პრაქტიკის შესახებ მრავალი ინდივიდუალური შეთანხმება. ეს შეთანხმებები დაკავშირებულია კონკრეტული უნივერსიტეტების პერსონალსა და ორგანიზაციას შორის არსებულ პიროვნულ კავშირებთან, ასევე ხშირად უნივერსიტეტების პროაქტიულ ქცევასთან დაიწყონ შესაბამის ორგანიზაციასთან თანამშრომლობა. მაგალითად, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს აქვს იურიდიული კლინიკა ექსკლუზიურად მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, სადაც მონაწილეობა არ შეუძლიათ სხვა საჯარო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებს.

5. შეფასება და რეკომენდაციები

5.1.იურიდიული პრაქტიკის კურსის საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულირება

i.i. **რეკომენდაცია:**

(იურიდიული) პრაქტიკის კურსი ნებისმიერ პროფესიაში სტუდენტს ეხმარება გამოიყენოს მისი ცოდნა რეალურ სამუშაო გარემოში და შეიძინოს დამატებითი პერსონალური და სოციალური კომპეტენციები, რომლის შეძენაც სხვა კურსებით არ არის შესაძლებელი.

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტი ითვალისწინებდეს საბაკალავრო პროგრამის საფეხურზეც (იურიდიული) პრაქტიკის კურსების არსებობას არჩევითი კურსის სახით.

საქართველოში სპეციალიზირებული ფორმით არ არსებობს სამართლის საბაკალავრო პროგრამების იურიდიული პრაქტიკის საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულირება. მოქმედი რეგულირებით ყველა საბაკალავრო პროგრამისთვის დადგენილია ერთიანი აკრედიტაციის სტანდარტები და ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის კვალიფიკაციის ჩარჩოს საფუძველზე დამატებით დადგენილია დარგობრივი მახასიათებელი. სამართლის დარგობრივი მახასიათებელი სასურველია ასევე ითვალისწინებდეს რეალურ პროფესიულ გარემოში პრაქტიკის კომპონენტსაც.

ზოგადად, ყველა საბაკალავრო პროგრამისთვის სავალდებულოა შრომითი ბაზრის მოთხოვნების ანალიზი და მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამის მიზნებისა და შედეგების განსაზღვრისას. შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების კუთხით იურიდიული პრაქტიკის კურსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კერძოდ, ეს კურსი თვისებრივად განსხვავდება სამართლის კლინიკისგან, რომლებიც ექსკლუზიურად უნივერსიტეტის ბაზაზე ხორციელდება, და უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული პრაქტიკული უნარების სხვა კურსებისგან. კურსის მთავარი განმასხვავებელია გარემო, და ის რომ იურიდიული პრაქტიკის კურსის ფარგლებში უნივერსიტეტებს შესაძლებლობა აქვთ დამსაქმებლებისგან მიიღონ უშუალო უკუკავშირი პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესახებ. კურსში შესაძლებელია ერთდროულად პროფესიული უნარებისა და იურიდიული განათლების კომპონენტების გაერთიანება და სტუდენტის მიერ საკუთარი პროფესიული მიზნების ფორმირება. უნივერსიტეტებისთვის კი მეორე მხრივ, კურსი არის შესაძლებლობა შეაფასონ საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები რამდენად

მიესადაგება შრომის ბაზრის შესაბამის სეგმენტებში დამსაქმებლების მოთხოვნებს.

მოქმედი პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტის თანახმად საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავება და პრაქტიკული უნარები უნდა განისაზღვროს კონკრეტული პროგრამის მიზნის შესაბამისად. პრაქტიკული უნარების გამომუშავების პროცესს უნდა ხელმძღვანელობდეს შესაბამისი პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას. ამ სტანდარტების მიუხედავად, უნივერსიტეტი არ არის ვალდებული სამართლის საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტს არჩევითი ფორმით შესთავაზოს იურიდიული პრაქტიკის კურსი.

დამატებით, აკრედიტაციის სტანდარტები უნივერსიტეტს ასევე ავალდებულებს სტუდენტს გაუწიოს დასაქმების შესახებ კონსულტაცია და მიაწოდოს მას ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებზე. აღსანიშნავია, რომ იურიდიული პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს სტაჟირების ან პრაქტიკის სახით. სტაჟირების სახით იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია სისტემატური სახით არ არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის. ამ ფონზე, სტუდენტის პრაქტიკაზე მოხვედრისთვის უნივერსიტეტში კარიერული ცენტრის არსებობას ან პრაქტიკის კოორდინატორის მიერ სტუდენტის ინფორმირებას პრაქტიკის შესაძლებლობების შესახებ გადამწყვეტი როლი აქვს. შესაბამისად უნივერსიტეტებში სადაც კარიერული ცენტრი უფრო ეფექტიანად მუშაობს და სადაც პროაქტიულად ხდება დასაქმების ბაზარზე არსებული შესაძლებლობების მოძიება და სტუდენტებისთვის მათი გაზიარება, სტუდენტებს პრაქტიკის და შემდგომ კი დასაქმების უკეთესი შესაძლებლობები აქვთ.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში კარიერულ კონსულტაციასა და იურიდიულ პრაქტიკაზე პასუხისმგებელ პირებს შორის კოორდინაცია, რომ მოხდეს კურსით განსაზღვრული პირობების დამსაქმებლისთვის გაცნობა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში კარიერული სამსახურის ეფექტიანი მუშაობის შედეგად უნდა მოხდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის იურიდიული პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელის ინფორმირება და მისი პროცესში ჩართვა, რომ დამსაქმებელთან დაამყაროს კონტაქტი. ეს სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს შემდგომში იურიდიული პრაქტიკის კურსში მოხდეს მისი ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერი და აღიარება და შესაბამისად სასწავლო კრედიტის მოპოვება.

i.ii. რეკომენდაცია:

საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს იურიდიული პრაქტიკის, სამართლის კლინიკებისა და პროფესიული უნარების განვითარების კურსები.

სასურველია სამართლის დარგობრივი მახასიათებელი ერთმანეთისგან მიჯნავდეს პრაქტიკული უნარების კურსებს, რომლებიც უნივერსიტეტის ბაზაზე ხორციელდება, სხვა ორგანიზაციაში რეალურ გარემოში მუშაობის საფუძველზე, პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარების სხვა კურსებისგან.

სტანდარტის სრულყოფილად დაკმაყოფილების წინაპირობად განისაზღვროს საბაკალავრო პროგრამაში პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების კურსების და ორივე ტიპის პრაქტიკული უნარების განვითარების კურსების მინიმუმ არჩევითი ფორმით შეთავაზების ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული უნარების განვითარება ასევე შესაძლებელია პრაქტიკის მიღმა სხვა კურსების თუ აქტივობების მეშვეობით. ასეთი კურსები და აქტივობები შეიძლება გულისხმობდეს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობას, სამართლის კლინიკებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და სხვა სპეციალური კურსების საშუალებით დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი სხვა პროფესიული უნარების განვითარებას, როგორიც არის კვლევითი, წერილობითი, კლიენტების კონსულტირების, პროფესიული ინგლისურის, მოლაპარაკებების წარმოების და სხვა კურსები.

5.2.უნივერსიტეტების იურიდიული პრაქტიკის კურსების შეფასება და რეკომენდაციები

5.2.1. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების კურსების შეფასება და რეკომენდაციები შემდგომი განვითარებისთვის

ii.i.რეკომენდაცია:

სტუდენტის პრაქტიკული უნარებისა და დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი იურიდიულ პრაქტიკასთან ერთად ითვალისწინებდეს პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარების სხვა კურსებსაც.

მხოლოდ იურიდიული პრაქტიკის არსებობა ვერ უზრუნველყოფს სტუდენტს დასაქმებისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და ამავე დროს ართულებს ღია კონკურენციის პირობებში და ვაკანტური ადგილების სიმწირის ფონზე, სტუდენტის მიერ იურიდიული პრაქტიკის ადგილის მოძიებას.

სტუდენტის დასაქმების და პროფესიული წარმატებისთვის, მათ შორის კონკურენციის პირობებში იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანად ათვისებისთვის, მნიშვნელოვანია კურიკულუმების შემდგომი განვითარება, რომ სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი გახდეს

აუცილებელი მინიმალური პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების კურსები.

კურიკულუმების განვითარებისას სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება გაამახვილოს პროფესიაში შესვლისთვის აუცილებელ პროფესიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე და მოერგოს შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციების მიერ დაწესებულ მოთხოვნებს.

კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების კურიკულუმების ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკული უნარების განვითარება სხვადასხვა კურსების საშუალებით. მაგალითად, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ერთმანეთისგან გამიჯნულია პრაქტიკული უნარების განვითარების კურსები, სადაც სტუდენტი ხვდება ცოცხალ სამუშაო გარემოში, კურსებისგან სადაც სტუდენტი დროებით ხდება პროფესიის წარმომადგენელი. კერძოდ, კურიკულუმი ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის სტუდენტის მიერ რეალურ საქმეებზე მუშაობის გამოცდილების შეძენას, მოქმედი ადვოკატების ზედამხედველობის ქვეშ. ეს ხორციელდება კერძო, სისხლის, ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებებით სამართლის კლინიკების კურსებში. სამართლის კლინიკები ფუნქციონირებს უნივერსიტეტში.

შესაბამისად, იურიდიული პრაქტიკა მკაფიოდ არის გამიჯნული სამართლის კლინიკისგან, როგორც კურსი რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ მოქმედ ორგანიზაციაში რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილების შეძენას. შესაბამისად, სამართლის კლინიკის და იურიდიული პრაქტიკის კურსები ავსებს ერთმანეთს. სტუდენტი ერთი მხრივ უნივერსიტეტში მოქმედ კლინიკაში სწავლობს რეალურ მუშაობას, მაგრამ ამავე დროს ხვდება სხვა ორგანიზაციაში რეალურ სამუშაო გარემოში სადაც ის საქმეებზე მუშაობის რეალური გამოცდილების გარდა ივითარებს ისეთ უნარებს, როგორიც არის სტრესთან გამკვლავება, მოქმედ ორგანიზაციულ კულტურაში თავის დამკვიდრება, ორგანიზაციის იერარქიულ სტრუქტურაში გარკვევა და მასში ადაპტაცია, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებისგან შემდგარ გუნდში მუშაობა და საერთო საქმიანობაში ინდივიდუალური წვლილის შეტანა, ორგანიზაციის რეგულაციების და პოლიტიკის გააზრება, კარიერული ინტერესების ფორმირება და სხვა. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული უნარების განვითარების კურსებს ჯამურად პროგრამაში 30 სასწავლო კრედიტი ეთმობა და მეოთხე კურსზე პროგრამა ფაქტობრივად არსებითად პრაქტიკული კურსებისგან შედგება.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამა ცალკე ითვალისწინებს პროფესიული უნარების განვითარების კურსებს, როგორიც არის სამართლებრივი წერის და აკადემიური კვლევისა და წერის კურსი, საბაკალავრო ნაშრომი, ადვოკატის პროფესიული ეთიკის კურსი და პროფესიული ინგლისურის სამი კურსი. იმის გათვალისწინებით, რომ კერძო სექტორიდან კვლევაში მონაწილე დამსაქმებლებმა

კვლევის ფარგლებში განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს სტუდენტის მიერ სამართლებრივი წერისა და პროფესიული ინგლისურის ცოდნის უნარებს, აღნიშნული კურსები ხელს შეუწყობს იურიდიული პრაქტიკის კურსის ფარგლებში სტუდენტის მიერ ღია კონკურსში წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო იმიტირებული პროცესების კურსების არჩევითი სახით არსებობა, რაც სტუდენტებს დამატებით აძლევს საერთაშორისო გარემოში საკუთარი უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობას. სტუდენტების მოტივაციას, მონაწილეობა მიიღონ ასეთი იმიტირებული პროცესების კონკურსებში ხელს უწყობს სასწავლო კრედიტის მოპოვების შესაძლებლობა. კერძო სექტორის ორგანიზაციებიდან მონაწილე დამსაქმებლები კი ხაზს უსვამენ, რომ პრაქტიკასა და სტაჟირებაზე სტუდენტის შერჩევის პროცესში მათთვის მნიშვნელოვანია სტუდენტს ჰქონდეს მსგავს კონკურსებში მონაწილეობის გამოცდილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს ჰქონდეს პროფესიული უნარების განვითარებისკენ მიმართული კურსების არჩევის შესაძლებლობა, სადაც სტუდენტი ისწავლის სამართლებრივ კვლევას და წერას, ასევე სამართლებრივი ანალიზის დამოუკიდებლად მომზადებას, მის წერილობით გადმოცემას და ასევე პროფესიულ ეთიკას.

დამსაქმებლები ყურადღებას ამახვილებენ გარემოებაზე, რომ იურიდიული პრაქტიკის მოძიების და შემდეგ მის საფუძველზე წარმატებით დასაქმებისთვის აუცილებელია სტუდენტი უკვე ფლობდეს აუცილებელ მინიმალურ კომპეტენციებს, კერძოდ მას უნდა ჰქონდეს:

- სამართლებრივი კვლევისა და წერის უნარი;
- სამართლებრივი ანალიზის უნარი;
- ზეპირი კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარი;
- პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა;
- პროფესიული ინგლისური ენის ცოდნა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კერძო ორგანიზაციებში დასაქმებისთვის)

შესაბამისად პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარების კუთხით სამართლის საბაკალავრო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით უნივერსიტეტებს შეუძლიათ სტუდენტებს შესთავაზონ შემდეგი კურსები:

- სამართლის კლინიკები;
- სამართლებრივი კვლევა და წერა;
- საბაკალავრო ნაშრომი;
- პროფესიული ინგლისური;
- პროფესიული ეთიკა;

- საჯარო გამოსვლის ხელოვნება იურისტებისთვის;
- სამართლებრივი დასაბუთება და არგუმენტაცია;
- ხელშეკრულების შედგენა
- დავების გადაჭრის ალტერნატიული მეთოდები და სხვა.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში კურიკულუმის განვითარების კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული პროფესიისთვის აუცილებელი პროფესიული უნარების კურსების განვითარება. მაგალითად, ადვოკატის პროფესიის დაუფლების მსურველი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი იქნება კურიკულუმის განვითარება იმ კუთხით, რომ სტუდენტს ჰქონდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული უნარები. ადვოკატების პროფესიული ადაპტაციის პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული უნარების განვითარების კურსებს, რომლებიც კურიკულუმის სათანადო განვითარების შემთხვევაში თავისი ბუნებით საბაკალავრო საფეხურზე შეიძლება ისწავლებოდეს. კერძოდ ეს კურსებია:

პროფესიული ადაპტაციის თეორიული პროგრამა
სამართლებრივი წერა
ადვოკატის პროფესიული ეთიკა
კლიენტთან კომუნიკაცია, პირველი ინტერვიუ, ჰონორარზე შეთანხმება
სასამართლო პროცესის წარმართვის უნარ-ჩვევები
ორატორული ხელოვნება და პრეზენტაციის უნარები
ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტები
დავის ალტერნატიული მოგვარების მექანიზმები

ამასთან აღსანიშნავია, რომ პროფესიული ადაპტაციის დებულება ასევე ითვალისწინებს აკრედიტაციის შესაძლებლობას. შესაბამისად კურიკულუმების ფარგლებში ამ კურსების არჩევითი ფორმით შეთავაზების და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ მათი აკრედიტაციის შემთხვევაში, სტუდენტები საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში აითვისებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ პროგრამას. ასეთ შემთხვევაში სტუდენტები დაზოგავენ 750 ლარს (თეორიული პროგრამის საფასური) და შესაბამისად მათთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება ადვოკატის პროფესიაც. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ადვოკატთა ასოციაციის მწირი რესურსის გათვალისწინებით, რომლითაც გაჭირდება ასობით ადვოკატობის მსურველი იურისტის პროფესიული ადაპტაციის თეორიულ პროგრამაში დროულად ჩართვა.

სამართლის საბაკალავრო პროგრამების ასეთი მოდიფიცირება ერთი მხრივ მე-4 კურსის სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს შეიძინოს იურიდიული კლინიკის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტით განსაზღვრული გამოცდილება, თუ კლინიკა მოიპოვებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დებულებით განსაზღვრულ აკრედიტაციას, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტებში სამართლის კლინიკების შექმნის მზაობის გაზრდას, რადგან აღნიშნული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს დაეხმარება ადვოკატის პროფესიაში შესვლისთვის განსაზღვრული 9 თვიანი სტაჟირების ვალდებულების საბაკალავრო პროგრამის საფეხურზე ათვისებაში.

აღნიშნული შესაძლებელი იქნება ერთი მხრივ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისი ცვლილებების გზით, რაც პროფესიული ადაპტაციის პროგრამის წინაპირობებს შეცვლის ისე, რომ შესალებელი გახდება პროფესიული ადაპტაციის პროგრამაში სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტის და უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირების მონაწილეობა, ხოლო უნივერსიტეტებისთვის კი შესაძლებელი იქნება აკრედიტაციის საფუძველზე პროფესიული ადაპტაციის პროგრამით განსაზღვრული თეორიული კურსების სამართლის საბაკალავრო პროგრამაში შესაბამისი ინტერესის მქონე სტუდენტებისთვის შეთავაზება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საჯარო სექტორში, მაგალითად პროკურატურის სტაჟირების პროგრამაში, კურსდამთავრებულებთან ერთად, შესაძლებელია მეოთხე კურსის სტუდენტის მონაწილეობაც. ეს პროგრამა კი მომავალი პროკურორის პროფესიულ ადაპტაციას ისახავს მიზნად და მისი წარმატებით დასრულების საფუძველზე პირი იწყებს პროკურორის საქმიანობას. მსგავსი პრაქტიკის შემოღება ასევე ხელს შეუწყობს იურიდიულ პროფესიაში შესვლის ერთიანი სტანდარტის დამკვიდრებასაც.

ასევე მნიშვნელოვანია ამ კუთხით აშშ-ს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება. კერძოდ, აშშ-ს ადვოკატთა ასოციაცია უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ შესაბამის კურსებს ანიჭებს აკრედიტაციას და სტუდენტებს კურსების გავლა შეუძლიათ უნივერსიტეტში. აღნიშნული მოდიფიცირების შემთხვევაში დამატებით გადაიჭრება მწირი რესურსების პრობლემა და კონკურენციის გზით ასევე მოხდება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში კურსების ხარისხის გაუმჯობესება.

5.2.2. იურიდიული პრაქტიკის კურსების შეფასება და რეკომენდაციები შემდგომი განვითარებისთვის

კვლევაში ჩართული უნივერსიტეტების სამართლის საბაკალავრო პროგრამების და გამოკითხვების საფუძველზე დადგინდა, რომ საბაკალავრო პროგრამის

საფეხურზე იურიდიული პრაქტიკის კურსები იშვიათად არის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. უნივერსიტეტების წარმომადგენლები აღნიშნულ მდგომარეობას ერთი მხრივ ხსნიან სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების სიმრავლით და მეორე მხრივ კი დასაქმების ბაზარზე იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების სიმწირით. თუმცა, სამართლის საბაკალავრო საფეხურზე იურიდიული პრაქტიკის კურსების სათანადო მოდიფიცირების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სტუდენტის მიერ რამოდენიმე ორგანიზაციაში მოკლევადიანი (4-6 კვირა) პრაქტიკის გავლითა და კურიკულუმით ადეკვატური მინიმალური საათობრივი მოთხოვნების დაწესების შემთხვევაში აღნიშნული პრობლემის გადაჭრა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად 2017 და 2018 წლებში საქართველოში მოქმედი აკრედიტებული სამართლის საბაკალავრო პროგრამები ჯამში 4451-მა ადამიანმა დაამთავრა.

საქართველოს სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულების ჯამური რაოდენობა	წელი
2208	2017
2243	2018

2015-2018 წლების გასაშუალოებული მონაცემით კი სამართლის საბაკალავრო პროგრამას წელიწადში საშუალოდ 1800 ადამიანი ამთავრებს.

საქართველოს სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულები ჯამური რაოდენობა 2015-2018	წელი
1451	2015
1456	2016
2208	2017
2243	2018

ყველა დაინტერესებული სტუდენტისა და კურსდამთავრებულისთვის სახელმწიფო სტაჟირების პროგრამით ხელმისაწვდომი ადგილების ჯამური რაოდენობა სამართლის საბაკალავრო პროგრამების ამავე წლების კურსდამთავრებულების რაოდენობაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია. ამასთან აღსანიშნავია, რომ სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში ყველა მიმართულების სტუდენტი და კურსდამთავრებული მონაწილეობს. საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2015-2018 წლებში პროგრამაში კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ადგილების შესახებ სტატისტიკა ასეთია:

სახელმწიფო სტაჟირების პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჯამური რაოდენობა 2015-2018	წელი
1556	2015
1425	2016
1220	2017
1099	2018

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სექტორში პრაქტიკისა და სტაჟირების ოდენობის შესახებ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა. ისევე, როგორც სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა არ მოიცავს სრულად საჯარო დაწესებულებებში არსებული სტაჟირებისა და პრაქტიკის ადგილების შესახებ ინფორმაციას.

თუმცა აღნიშნული ციფრები აძლიერებს უნივერსიტეტების წარმომადგენლების მოსაზრებას, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი გამოწვევაა სტუდენტების პრაქტიკისა და სტაჟირების შესაძლებლობების მოძიება.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას გარემოებას, რომ აღნიშნული მდგომარეობიდან გარდაუვალად არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ვერ შეძლებენ საბაკალავრო საფეხურზე იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობებით სარგებლობას. ამ მდგომარეობის მიუხედავად უნივერსიტეტების მხრიდან სათანადო ძალისხმევის გაწევის შემთხვევაში, კერძოდ კი იურიდიული პრაქტიკის კურსის ორგანიზაციული დახვეწის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება საბაკალავრო პროგრამებზე იურიდიული პრაქტიკის კურსების განვითარება და წარმატებით დამკვიდრება.

ii.ii.i. სტუდენტის მიერ იურიდიული პრაქტიკის კურსის დაწყების მოქნილი მექანიზმის შემუშავება

იურიდიული პრაქტიკის კურსის დაწყება სასურველია არ იყოს დამოკიდებული უნივერსიტეტსა და შესაბამის ორგანიზაციას შორის ურთიერთთანამშომლობის მემორანდუმის ან ინდივიდუალური შეთანხმების არსებობაზე. სასურველია იურიდიული პრაქტიკის კურსის დაწყება შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე, რისთვისაც განსაზღვრული იქნება სტუდენტის და ხელმძღვანელის მიერ ერთობლივად შესავსები მარტივი ფორმა (დეტალურად იხილეთ დანართი). შესაბამისად დამატებით ინდივიდუალური მემორანდუმის გაფორმება ან არსებობა არ იქნება პრაქტიკის დაწყების წინაპირობა. ხელმძღვანელი კი სასურველია იყოს ნებისმიერი ადვოკატი, რომელიც ნებაყოფლობით გამოთქვამს სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელობის სურვილს

და მუშაობს შესაბამის ორგანიზაციაში, სადაც სტუდენტი შეძლებს იურიდიული საქმიანობის განხორციელებას.

ii.ii.ii. იურიდიული პრაქტიკის კურსის შინაარსი სასურველია მორგებული იყოს სტუდენტის ინდივიდუალურ პროფესიულ მიზნებზე და ეხმარებოდეს მას ამ პროფესიული მიზნების ფორმირებაში

იურიდიული პრაქტიკის მიზანი არის სტუდენტმა რეალურ სამუშაო გარემოში, მოქმედ ორგანიზაციაში, გამოსცადოს საკუთარი ცოდნა და პროფესიული უნარები, რაც ხელს უწყობს მის პროფესიულ განვითარებას და ზრდის მისი დასაქმების შესაძლებლობებს. სასურველია იურიდიული პრაქტიკის კონკრეტული შინაარსი წინასწარ არ იყოს კურსით განსაზღვრული და კურსის დასაწყისში კოორდინატორთან შეთანხმებით ხდებოდეს სტუდენტის პროფესიული მიზნების შესაბამისად კურსის განსაზღვრა. აშშ-ის უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის იურიდიული პრაქტიკის კურსის შინაარსი არ არის წინასწარ განსაზღვრული და ღიაა. შესაბამისად კურსით არ არის დადგენილი დავალებების სახეები და ღონისძიებები, რომლებიც უნდა განახორციელოს სტუდენტმა, კურსის ძირითადი მოთხოვნა ზოგადი ხასიათისაა და სტუდენტისგან იურიდიული საქმიანობის განხორციელებას მოითხოვს. ხარისხის კონტროლი ხორციელდება შესაბამისად სტუდენტის მიერ შევსებული პერიოდული სამუშაოს აღრიცხვის ფორმის საფუძველზე (იხილეთ დანართი), რომელსაც ავსებს სტუდენტი და ადასტურებს პრაქტიკის ხელმძღვანელი. პროცესის სიმარტივისთვის დანართში განსაზღვრულია აქტივობების ტიპური ჩამონათვალი, რასაც უთითებს სტუდენტი კოდის საშუალებით.

ii.ii.iii. სტუდენტის საქმიანობის კურსის ბოლოს შეფასების ნაცვლად სასურველია კურსი ითვალისწინებდეს სტუდენტის საქმიანობის უწყვეტ შეფასებას სტუდენტის და დამსაქმებლის მიერ და ამ პროცესში კურსის კოორდინატორი სტუდენტს ეხმარებოდეს საკუთარი გამოცდილების მუდმივ გაუმჯობესებაში, რეფლექსიური უნარების განვითარების საშუალებით.

აშშ-ის საუკეთესო პრაქტიკის განხილული მაგალითის საფუძველზე შესაძლებელია იურიდიული პრატიკის კურსის ფარგლებში სტუდენტის საქმიანობის პერიოდული სახით და უწყვეტ რეჟიმში შეფასება. შეფასების პროცესში სასურველია ჩართული იყოს: კურსის კოორდინატორი, სტუდენტი და პრაქტიკის ხელმძღვანელი. სასურველია პრაქტიკის კოორდინატორი იყოს სტუდენტის რეფლექსიური სწავლების კუთხით ძირითადი პასუხისმგებელი პირი. პროცესის ორგანიზების თვალსაზრისით პრაქტიკის კოორდინატორმა სასურველია კურსის განმავლობაში პერიოდულად გამართოს ჯგუფური შეხვედრები სტუდენტებთან, სადაც მოხდება სტუდენტების მიერ წარდგენილი რეფლექსიური ანგარიშების განხილვა. ეს დაეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის კურსის ფარგლებში პროფესიული და პრაქტიკული უნარების მაქსიმალურად

გავითარებაში. სტუდენტი საკუთარი გამოცდილებიდან სწავლის მიზნით სასურველია ამზადებდეს რეფლექსიურ ანგარიშებს, სადაც ის წინასწარ შემუშავებული სპეციალური დამხმარე შეკითხვების საფუძველზე (იხილეთ დანართში შესაბამისი ფორმა) აღწერს და იაზრებს ორგანიზაციაში მის საქმიანობას. დამატებით სასურველია კურსში სტუდენტის საქმიანობას ასევე აფასებდეს პრაქტიკის ხელმძღვანელი. ეს დამსაქმებლის განტვირთვის მიზნით, შეიძლება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული ფორმის საფუძველზე (იხილეთ შესაბამისი ფორმა დანართში) რომელსაც დამსაქმებელი პერიოდულად შეავსებს და ასევე პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პერიოდულად ზეპირი უკუკავშირის მიცემის გზით მნიშვნელოვანი იქნება სტუდენტისთვის მისი საქმიანობის შესახებ მოსაზრებების გაზიარება და მიმართულების მიცემა საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. და ბოლოს, მნიშვნელოვანია კურსის კოორდინატორს ჰქონდეს უწყვეტი კომუნიკაცია (ზეპირი ან ელექტრონული) სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელთან. ეს შესაძლებლობას მისცემს ორივე მხარეს დროულად მოხდეს პრობლემების კომუნიკაცია და მათი გადაჭრის გზების დასახვა, რაც საბოლოოდ დაეხმარება სტუდენტს პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი პროფესიული ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებაში.

ii.ii.iv. იურიდიული პრაქტიკის კურსში უნივერსიტეტმა აქცენტი უნდა გააკეთოს იურიდიული პრაქტიკის დამსაქმებლისთვის მოქნილი ფორმების და ფორმატების დანერგვის უზრუნველყოფაზე. ეს სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ ბოლო სემესტრში ან დამამთავრებელ წელს მიიღოს სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობა და სასწავლო კომპონენტი აითვისოს ონლაინ კურსების დახმარებით, მეორე მხრივ კი ბევრ ორგანიზაციაში გამოსცადოს მისი ცოდნა და უნარები და დააგროვოს რეალურ გარემოში მუშაობის სტაჟირებასთან შედარებით უფრო მცირე ხნიანი, მაგრამ მრავალფეროვანი გამოცდილება და სანაცვლოდ მოიპოვოს სასწავლო კრედიტები.

სასურველია უნივერსიტეტებში არ მოხდეს იურიდიული პრაქტიკის კურსების და სტაჟირების პროგრამების გაიგივება. ორგანიზაციაში სტაჟირება როგორც წესი უფრო ხანგრძლივ (შრომითი საათების კუთხით 40 საათინ სამუშაო კვირას) და დასაქმებულის მსგავს პირობებში საქმიანობას გულისხმობს. სტაჟირების პროგრამები და ადგილები დასაქმების ბაზარზე არსებითად მწირია, რადგან ორგანიზაციები მათ ახალი კადრების მოზიდვისთვის იყენებენ. ამდენად უნივერსიტეტი ვერ შეძლებს სტაჟირების შესაძლებლობებით ყველა სტუდენტის უზრუნველყოფას, შესაბამისად აღნიშნული სასურველია არ იყოს იურიდიული პრაქტიკის კურსის ძირითადი მიზანი.

ამავე დროს უნივერსიტეტების მიერ სტაჟირებისა და პრაქტიკის გამიჯვნა არ უნდა გულისხმობდეს იურიდიული პრაქტიკის კურსის ფარგლებში

ექსკლუზიურად პრაქტიკაზე ორიენტირებას. სტაჟირება და პრაქტიკა შეიძლება ერთი იურიდიული პრაქტიკის კურსის ფარგლებში თანაარსებობდეს, თუ კურსი საკმარისად მოქნილი იქნება და ორივესთვის მინიმალურ მოთხოვნებს დაადგენს.

ამაზე მეტყველებს აშშ-ს უნივერსიტეტებში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკაც. კერძოდ, იურიდიული პრაქტიკის კურსი უნდა იყოს იმდენად მოქნილი, რომ სტუდენტმა შეძლოს სხვადასხვა ორგანიზაციაში ათვისებული სამუშაო საათების საფუძველზე კრედიტების მოპოვება. ამასთან თუ უნივერსიტეტი განსაკუთრებით დამამთავრებელ სემესტრში ონლაინ კურსებს განავითარებს, სტუდენტი თავისუფლად შეძლებს სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობასაც.

მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება სტუდენტის საქმიანობის შეფასების, შრომის საათების და დავალებების აღრიცხვის ისეთი ფორმების შემუშავება, რომლებიც ერთი მხრივ დამსაქმებლებს არ დააკისრებს ჭარბ ბიუროკრატიულ დანახარჯს და მეორე მხრივ კი უზრუნველყოფს იურიდიული პრაქტიკის კურსის სათანადო ხარისხს. აშშ-ის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია კურსის ფარგლებში მოხდეს სტუდენტის საქმიანობის საათების ყოველ კვირაში აღრიცხვა და ასევე შემუშავდეს მარტივად შესავსები საქმიანობის შეფასების ფორმები (იხილეთ შესაბამისი დანართები). ასეთი კურსი კი სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს რამდენიმე ორგანიზაციაში მოკლევადიანი სამუშაო გამოცდილების გზით დააგროვოს იურიდიული პრაქტიკის კურსით განსაზღვრული მინიმალური სამუშაო საათები. ეს შესაძლებელს გახდის სტუდენტის მიერ მოკლე პერიოდით რამდენიმე ორგანიზაციაში სამუშაო გამოცდილების მიღებას და ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციაში მიღებული სამუშაო გამოცდილების ფორმატების მრავალფეროვნების მიუხედავად სტუდენტის მიერ კრედიტის მოპოვებას;

ii.ii.v. სასურველია იურიდიული პრაქტიკის კურსის წინაპირობები სტუდენტის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნის გარდა ასევე ითვალისწინებდეს პროფესიული უნარების კურსებსაც.

ასეთი კურსები შეიძლება იყოს სამართლებრივი კვლევის და წერის, პროფესიული ეთიკის, კლიენტების კონსულტირების, მოლაპარაკებების წარმოების, პროფესიული ინგლისური ენის და სხვა კურსები.

თანდართული დანართების ჩამონათვალი:

- იურიდიული პრაქტიკის გეგმა და კურსში მონაწილეობის მოთხოვნის ფორმა
- სტუდენტის თანხმობის და პრაქტიკაზე გაშვების ფორმა
- რეფლექსიური ანგარიში N 1, 2, 3, 4,
- საბოლოო ანგარიში
- კვირის განმავლობაში გაწეული შრომის აღრიცხვის ფრომა
- შეფასების ფორმა
- პრაქტიკის სერტიფიკატი
- კვლევის ფარგლებში გამოყენებული კითხვარი
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეების ჩამონათვალი
- უნივერსიტეტების წარმომადგენლების ჩამონათვალი
- საქართველოს პროკურატურის სტაჟიორის შეფასების ფორმა

6. დანართები

დანართი N 1

იურიდიული პრაქტიკის კურსი

იურიდიული პრაქტიკის გეგმა და კურსში მონაწილეობის მოთხოვნის ფორმა

1. იურიდიული პრაქტიკის კურსის სტუდენტი:

   სახელი ---------- გვარი ----------

   მისამართი: ---------- ---------- ----------
   ქუჩა ქალაქი საფოსტო ინდექსი

   ტელეფონი: ---------- ელ.ფოსტა: ----------

2. კურსი:--------- სემესტრი: ------- პროგრამით დაგროვილი კრედიტი: -------

3. კურსის სემესტრი: ----------

4. იურიდიული პრაქტიკის ტიპი: პრაქტიკა: ---------- სტაჟირება: ----------

   ორგანიზაცია: ----------

5. პრერეკვიზიტი (მიუთითეთ ყველა სავალდებულო კურსი):

   - ❑ ----------
   - ❑ ----------
   - ❑ ----------
   - ❑ ----------

6. იურიდიული პრაქტიკის ადგილი: ----------

   იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი: ----------

   მისამართი: ---------- ---------- ----------
   ქუჩა ქალაქი საფოსტო ინდექსი

   ტელეფონი: ---------- ელ.ფოსტა: ----------

7. ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: --------- (ერთი სასწავლო კრედიტი შეადგენს მინიმუმ ---- საათს. სტუდენტის შრომა შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი).

   იურიდიული პრაქტიკის კურსის კორდინატორი:
   სახელი ---------- გვარი ---------- ტელეფონი: ----------

8. იურიდიული პრაქტიკის კურსის შინაარსი და სტუდენტის დავალებები (ივსება იურიდიული პრაქტიკის ორგანიზაციაში სტუდენტის ხელმძღვანელის მიერ):

9. სასწავლო მიზანი (ივსება სტუდენტის მიერ):

10. იურიდიული პრაქტიკის სტუდენტის საქმიანობის პროფესიული და საგანამანათლებლო მიზნების უზრუნველსაყოფად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს პრაქტიკის ხელმძღვანელის და სტუდენტის რეგულარული შეხვედრები. შეხვედრების მიზანი სტუდენტის საქმიანობის შეფასება და კრიტიკაა. შეხვედრებზე ხელმძღვანელი მოქმედებს მენტორის როლში და სტუდენტს აძლევს რჩევებსა და მიმართულებას.

11. კურსის კორდინატორი იურიდიული პრაქტიკის დაწყების შესახებ სტუდენტს არ აძლევს თანხმობას, სანამ არ არსებობს პრქტიკის ხელმძღვანელის თანხმობა და სტუდენტს არ აქვს წარმოდგენილი "სტუდენტის თანხმობის და პრაქტიკაზე გაშვების ფორმა".

12. იურიდიული პრაქტიკის გეგმა და კურსში მონაწილეობის მოთხოვნა შეთანხმებულია

   პრაქტიკის ხელმძღვანელი ---------- სტუდენტი ----------

   მიღება დადასტურებულია პრაქტიკის კორდინატორის მიერ ----------

დანართი N 2

იურიდიული პრაქტიკის კურსი

სტუდენტის თანხმობის და პრაქტიკაზე გაშვების ფორმა

---------- (სტუდენტი) თანახმაა და იწყებს იურდიულ პრაქტიკას

თარიღი: ----------

სტუდენტმა დაიწყო იურიდიული პრაქტიკის კურსი ---------- უნივერსიტეტში

და იურიდიული პრაქტიკა ორგანიზაციაში, სადაც მისი საქმიანობის ხელმძღვანელია

---------- (პრაქტიკის ხელმძღვანელი), თარიღი: ----------

სტუდენტი აცნობიერებს ქვევით განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს და თანახამაა შემდეგზე:

1. სტუდენტი დაიცავს ორგანიზაციის და უნივერსიტეტის რეგულაციებს, პოლიტიკას, პროცედურებს და პროგრამის წესებს. აღნიშნული მოიცავს: სამუშაო საათების და საპატიო გაცდენების შესახებ დადგენილ წესებს, რეგულარულად შრომის აღრიცხვის ფორმის და წერილობითი ანგარიშების წარდგენის შესახებ წესებს, პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ დაგეგმილი საქმიანობის და მომსახურების გაწევის შესახებ წესებს.
2. ორგანიზაციაში სტუდენტის საქმიანობას უხელმძღვანელებს იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვაენლი.
3. სტუდენტი წარადგენს უნივერსიტეტის და იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ მოთხოვნილ ყველა დოკუმენტს.
4. სტუდენტი მოემზადება და მონაწილეობას მიიღებს შეფასების მიზნით ორგანიზებულ შეხვედრებში და საკლასო კომპონენტებში, რომლებიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსით და იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ.

5. სტუდენტი ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს პროფესიონალურად, დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და კონფიდენციალობა.
6. სტუდენტი მოამზადებს და იურიდიული პრაქტიკის კურსის კორდინატორს რეგულარულად წარუდგენს შრომის აღრიცხვის ფორმებს. იურიდიული პრაქტიკის კურსის კორდინატორისთვის წარდგენამდე, საათების კრედიტად აღიარების მიზნით, შრომის აღრიცხვის ფორმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს ორგანიზაციაში იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელმა. შრომის აღრიცხვის ფორმაში უნდა იყოს მითითებული სამართლებრივი დავალებები, რომლებიც სტუდენტმა შესაბამის დღეს შეასრულა. სტუდენტის მიერ

შესრულებული სამუშაოს კურსის სასწავლო მიზანთან შესაბამისობის დასადგენად უნივერსიტეტი ამოწმებს შრომის აღრიცხვის ფორმებს.

7. სტუდენტი იურიდიული პრაქტიკის დასრულებისას ან დასრულების შემდეგ ამზადებს და იურიდიული პრაქტიკის კურსის კორდინატორს წარუდგენს აღწერილობით და რეფლექსიურ ანგარიშებს. ანგარიში უნდა მომზადდეს იურიდიული კურსის სილაბუსით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. ყველა სტუდენტი ვალდებულია იურიდიული პრაქტიკის ფარგლებში მისი საქმიანობის წერილობითი ფორმით აღწერისას დაიცვას კონფიდენციალობის წესები. იურიდიული პრაქტიკის კურსით გათვალისიწინებული კრედიტის მინიჭების წინაპირობაა წერილობითი ანგარიშების წარდგენა.

8. იურიდიული პრაქტიკის დასრულებისას სტუდენტის თხოვნით იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი (მის ნაწილში) და სტუდენტი (მის ნაწილში) ავსებენ იურიდიული პრაქტიკის დასრულების შესახებ სერტიფიკატს და უზიარებენ უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსის კოორდინატორს. უნივერსიტეტის მიერ იურიდიული პრაქტიკის კურსით გათვალისწინებული კრედიტის მინიჭების წინაპირობაა შევსებული სერტიფიკატის წარდგენა.

9. სტუდენტი ვალდებულია იურიდიული პრაქტიკის ფარგლებში იმუშაოს მინიმუმ ----- საათი, ერთი სასწავლო კრედიტის მოპოვებისთვის. შრომის აღრიცხვისას სამუშაო დროში არ ითვლება სამსახურამდე გზაში დახარჯული დრო და შესვენებები.

10. სტუდენტმა იურიდიული პრაქტიკის დროს გაწეული შრომის სანაცვლოდ შეიძლება ვერ მიიღოს ანაზღაურება.

შევსებულია:

სტუდენტი ---------- თარიღი ----------

ხელმძღვანელი ---------- თარიღი ----------

დანართი N 3

იურიდიული პრაქტიკის კურსი

რეფლექსიური ანგარიში N 1

საბოლოო ანგარიში უნდა იყო 1-2 გვერდი, სტრიქონებს შორის 1.5 დაცილება. ანგარიში გამოგზავნის ბოლო ვადაა (დღე, თქვე, რიცხვი).

[იურიდიული პრაქტიკის დროს თქვენ გაეცანით კონფიდენციალურ ინფორმაციას, გაითვალისწინეთ და არ გაამჟღავნოთ ასეთი ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშში.]

განიხილეთ:

> რატომ გადაწყვიტეთ იურიდიული პრაქტიკის კურსში მონაწილეობა? რა იყო თქვენი მიზანი? იურიდიული პრაქტიკის დაწყების შემდეგ შეიცვალა თუ არა თქვენს მიერ დასახული მიზანი? გაუზიარეთ თუ არა ინფორმაცია თქვენი მიზნების შესახებ პრაქტიკის ხელმძღვანელს და რამდენად განიხილეთ ემთხვევა თუ არა თქვენი და მისი საჭიროებები? არის რაიმე კონკრეტულად გაზომვადი, რისი მიღწევაც გსურთ იურიდიული პრაქტიკის დროს?
>
> თუ მეორეჯერ გადიხართ პრაქტიკას: გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები რა შეგიძლიათ გააკეთოთ პრაქტიკის მეორე ნაწილში რაც უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკა თქვენთვის პირველ ნაწილზე უფრო საინტერესო იქნება? შეგიძლიათ განსაზღვროთ სპეციფიკური საკითხები, კონკრეტული დავალებები, პროცესები, რაზეც გსურთ დაკვირვება, დისკუსიები, რომლებიც გაინტერესებთ კოლეგებთან და სხვა. არ არის აუცილებელი ეს სამსახურთან უშუალოდ იყოს დაკავშირებული, მაგრამ შეიძლება რაიმე სხვა ასპექტით უკავშირდებოდეს თქვენს საქმიანობას ან ზოგადად ცხოვრების ხარისხს ან თქვენს უნარს პრაქტიკიდან მიიღოთ მაქსიმალურად მეტი სარგებელი.

დანართი N 4

იურიდიული პრაქტიკის კურსი

რეფლექსიური ანგარიში N2

საბოლოო ანგარიში უნდა იყო 1-2 გვერდი, სტრიქონებს შორის 1.5 დაცილება. ანგარიში გამოგზავნის ბოლო ვადაა (დღე, თქვე, რიცხვი).

[იურიდიული პრაქტიკის დროს თქვენ გაეცანით კონფიდენციალურ ინფორმაციას, გაითვალისწინეთ და არ გაამჟღავნოთ ასეთი ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშში.]

განიხილეთ:

> თქვენთვის ყოველთვის ნათელია კონკრეტული დავალებების შესრულებისას პრაქტიკის ხელმძღვანელი რას ელოდება თქვენგან? რა დავალებებს ასრულებთ? ვინ გაძლევთ დავალებებს? შეადგინეთ 10 შეკითხვა, რომელსაც დასვამთ ახალი დავალების მიღებისას. შეკითხვები უნდა ეხებოდეს დავალების ბუნებას და პროცესს და ნაკლებად ტექნიკურ შინაარსს.
>
> ნაწილობრივ მიზანია, რომ თქვენ განავითაროთ შეკითხვების ჩამონათვალი რაც დაგეხმარებათ ახალი დავალების მიღებისას დასვათ კითხვები, რომლებიც ენაზე გადგათ. ეს დაგეხმარებათ დავალების მაქსიმალურად ცხადად გაგებაში. ეს ასევე დაგეხმარებათ დაზოგოთ დრო და გააუმჯობესებს თქვენს მიერ შესრულებული დავალებების ხარისხს და თქვენს შრომას უფრო სასარგებლოდ აქცევს. აღნიშნული ასევე დაგეხმარებათ სწავლაში. ახალი დავალების მიღებისას შეკთხვების დასმის ჩვევის განვითარება დაგეხმარებათ იურიდიული პრაქტიკისას და შემდგომ კარიერაშიც.
>
> თუ მეორეჯერ გადიხართ პრაქტიკას: რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის ორგანიზებული სამუშაო ადგილის (სივრცის) ქონა? თქვენ რამდენად ორგანიზებული ხართ? თუ არ ხართ ორგანიზებული, როგორ შეიძლება გახდეთ მეტად ორგანიზებული? დავალების შესრულების დროითი მოთხოვნების შემცირების ფონზე თქვენი ორგანიზებულობის ხარისხი მცირდება? როდის იწყებთ ორგანიზებას პროექტის დაწყებამდე თუ პროექტის შუაში? როგორ გაიუმჯობესბდით ორგანიზაციული უნარებს?

დანართი N 5

იურიდიული პრაქტიკის კურსი

რეფლექსიური ანგარიში N 3

საბოლოო ანგარიში უნდა იყო 1-2 გვერდი, სტრიქონებს შორის 1.5 დაცილება. ანგარიში გამოგზავნის ბოლო ვადაა (დღე, თქვე, რიცხვი).

[იურიდიული პრაქტიკის დროს თქვენ გაეცანით კონფიდენციალურ ინფორმაციას, გაითვალისწინეთ და არ გაამჟღავნოთ ასეთი ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშში.]

განიხილეთ:

ამ სემესტრში თქვენი ერთ-ერთი მიზანია რაც შეიძლება მეტი ახალი კონტაქტის შეძენა. რამდენ იურისტს შეხვდით და რამდენთან ისაუბრეთ? რამდენმა გაგიზიარათ ბიზნეს ბარათი? თქვენმა პრაქტიკის ხელმძღვანელმა ხომ არ გაგაცნოთ ადამიანი, რომელმაც გირჩიათ როგორ მოიძიოთ სამსახური თქვენთვის საინტერესო სფეროში? ინტროვერტ სტუდენტს რას ურჩევდით, როგორ ჯობია იურისტთან საუბრის დაწყება?

თუ მეორეჯერ გადიხართ პრაქტიკას: გავლილი გაქვთ პროფესიული ეთიკის კურსი? იურიდიული პრაქტიკის დროს ვინმესთან ხომ არ გისაუბრიათ ზოგადად პროფესიული ეთიკის საკითხებზე ან ამ საკითხების მნიშვნელობაზე შესაბამის განყოფილებაში ან ორგანიზაციაში? თქვენს ორგანიზაციულ ერთეულში რა სახის ეთიკური დილემები შეიძლება წამოიჭრას? ხომ არ გიფიქრიათ პირად მორალურ შეხედულებებზე იურიდიული პრაქტიკის კუთხით? რას ფიქრობთ არაეთიკური ქცევის შეტყობინების ვალდებულებაზე? როგორც მოიქცეოდით თუ მომავალში ამის გაკეთება მოგიწევდათ? იურიდული პროფესიის ფარგლებში არსებობს წესები, რომლებზეც თქვენ თვლით, რომ სხვა წესებთან შედარებით მეტად მნიშვნელოვანია?

დანართი N 6

იურიდიული პრაქტიკის კურსი

რეფლექსიური ანგარიში N 4

საბოლოო ანგარიში უნდა იყო 1-2 გვერდი, სტრიქონებს შორის 1.5 დაცილება. ანგარიში გამოგზავნის ბოლო ვადაა (დღე, თქვე, რიცხვი).

[იურიდიული პრაქტიკის დროს თქვენ გაეცანით კონფიდენციალურ ინფორმაციას, გაითვალისწინეთ და არ გაამჟღავნოთ ასეთი ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშში.]

განიხილეთ:

ზოგი ადამიანი ისე ცხოვრობს, რომ ვერ აცნობიერებს საკუთარ სუსტ მხარეებს. ისინი იგივე შეცდომებს იმეორებენ მუდამ და ვერ ხვდებიან რა ეშლებათ. სხვებს აქვთ საკუთარი სუსტი მხარეების აღქმის უნარი და შეუძლიათ მომავალში მოიქცნენ განსხვავებულად და გამოასწორონ შეცდომები და აღარ გაიმეორონ ისინი. თქვენ ამ საქმიანობაში რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ? როგორ აფასებთ თქვენს თავს სხვა კოლეგებთან შედარებით? განიხილეთ თქვენი, როგორც მომავალი იურისტის ძლიერი და სუსტი მხარეები. რა გამოგდით კარგად და რაში ხართ შედარებით სუსტი? როგორ აფასებთ საკუთარ საქმიანობას? თქვენი აზრით რა უნდა გააკეთოთ რომ გააუმჯობესოთ თქვენი სუსტი მხარეები?

თუ მეორეჯერ გადიხართ პრაქტიკას: იურიდიული პრაქტიკის რამდენიმე თვიანი გამოცდილების საფუძველძე თქვენი აზრით რა არის იურისტის პროფესიის კარიერის ძლიერი და სუსტი მხარეები? თქვენს ორგანიზაციულ ერთეულში როგორი სამუშაო გარემოა? ყველას მოსწონს არსებული სისტემა? თქვენ, რომ ყოფილიყავით ხელმძღვანელი, როგორ მიიღებდით გადაწყვეტილებას რომელი თანამშრომელი აიყვანოთ სამსახურში ან გაუშვათ სამსახურიდან?

დანართი N 7

იურიდიული პრაქტიკის კურსი

საბოლოო ანგარიში

საბოლოო ანგარიში უნდა იყო 8-10 გვერდი, სტრიქონებს შორის 1.5 დაცილება. ანგარიში გამოგზავნის ბოლო ვადაა (დღე, თქვე, რიცხვი).

[იურიდიული პრაქტიკის დროს თქვენ გაეცანით კონფიდენციალურ ინფორმაციას, გაითვალისწინეთ და არ გაამჟღავნოთ ასეთი ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშში.]

წინამდებარე ანგარიში უნდა ასახავდეს რეფლექსიას იურიდიული პრაქტიკის შესახებ. ჩვენ გვაინტერესებს გავიგოთ თქვენი მოსაზრებები მთლიანად პრაქტიკის შესახებ ასევე გავიგოთ კონკრეტული დავალებები, რომლებსაც ასრულებდით და რომლებიც მოგწონდათ ან პირიქით არ მოგწონდათ (ასევე რა იყო ამის მიზეზი).

მოგვიყევით როგორ გაიზარდეთ პროფესიულად იურიდიული პრაქტიკის საშუალებით, ესადაგებოდა თუ არა ის თქვენს მოლოდინებს და მომავალში როგორ ფიქრობთ მიღებული გამოცდილების გამოყენებას და განვითარებას.

დამატებით გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები პრაქტიკის ხელმძღვანელის შესახებ და სხვა კოლეგების შესახებ, ზოგადად გვითხარით მომავალში სხვა სტუდენტს რის გათვალისწინებას ურჩევდით.

თუ მეორეჯერ გადიხართ პრაქტიკას გვითხარით ახლანდელი გამოცდილება რითი განსხვავდება წინა გამოცდილებისგან, თქვენი აზრით უკეთესია თუ უარესი? რატომ? რა ისწავლეთ იურიდიული პრაქტიკის სრული ციკლის დროს ისეთი რაც პირველ ეტაპზე არ გესმოდათ კარგად ან არ გქონდათ გამოცდილი?

დანართი N 8
იურიდიული პრაქტიკის პროგრამა
კვირის განმავლობაში გაწეული შრომის აღრიცხვის ფორმა

სტუდენტი ----------

ხელმძღვანელი ----------

თარიღი	**კოდი**	**დახარჯული დრო**	**აქტივობა**

საათების ჯამი: ---------

ვადასტურებ, რომ შრომის აღრიცხვის ფორმა უტყუარად ასახავს იურიდიული პრაქტიკის დროს შესაბამის კვირაში ნამუშევარ სამუშაო საათების რაოდენობას და ჩემს მიერ განხორციელებულ აქტივობებს.

სტუდენტი ---------- თარიღი ----------

ვადასტურებ, რომ შევამოწმე წარმოდგენილი შრომის აღრიცხვის ფორმა და ის უტყუარად ასახავს სტუდენტის მიერ იურიდიული პრაქტიკის დროს შესაბამის კვირაში ნამუშევარი სამუშაო საათების რაოდენობას და მის მიერ განხორციელებულ აქტივობებს.

ხელმძღვანელი ---------- თარიღი ----------

კოდი:
(კ)კონფერენცია; (კი)კლიენტთან ინტერვიუ/შეხვედრა; (სწ)სასამართლოში წარმომადგენლობა/პროცესში მონაწილეობა/პროცესზე დასწრება; (დო) დოკუმენტების ორგანიზება; (ფშ)ფორმების შევსება; (წ)წერილის მომზადება და მიწერა; (სკ)სამართლებრივი კვლევა; (მწმოლაპარაკების წარმოება; (დმ)დოკუმენტის მომზადება; (სს)სატელეფონო საუბარი; (გ) გადახედვა; (შ)შესწორება;
გთხოვთ შეინახეთკვირის მანძილზე გაწეული შრომის აღრიცხვის მოცემული ფორმის ასლი.

დანართი N 9
იურიდიული პრაქტიკის პროგრამა
შეფასების ფორმა

სტუდენტი ---------- კურსი ----------

შემფასებელი ---------- თარიღი ----------

ზედამხედველი(თუ არ არის შემფასებელი) ----------

გთხოვთ სტუდენტის საქმიანობა შეაფასეთ თქვენი ორგანიზაციისთვის შესაბამისი და რელევანტური კატეგორიების საფუძველზე. სტუდენტის საქმიანობა შეაფასეთ იმის მიხედვით, რაც შეიძლება მას მოეთხოვებოდეს იურიდიული განათლების ამ საფეხურზე.

	1	2	3	4	5	ა/გ
	არ არის დამაკამაყო-ფილებელი		შეესაბამება მოლოდინს		ბრწყინვალე	
1. მატერილური და პროცესუალური სამართლის ცოდნა: ესმის სამართლის ფუნდამენტური პრინციპები და პროცედურები და როგორ მუშაობს სამართლის წესები;						
2. კრიტიკული აზროვნება, ანალიზი და პრობლემების გადაჭრა: ანალიზის გაკეთების უნარეი, ანალიზის სიძლიერე და სიზუსტე, შეფასების უნარი და გონივრული მსჯელობის უნარი;						
3. კვლევითი უნარები: კვლევის სრულყოფილება, ეფექტიანობა, დეტალური ხასიათი;						
4. წერილობითი კომუნიკაციის უნარები: სიცხადე, გრამატიკული სიზუსტე, ციტირების წესების დაცვა, ეფექტიანი პრეზენტაცია და რედაქტირება;						
5. ზეპირი კომუნიკაციის უნარები:, კოლეგებთან და საჯარო სივრცეში საუბარი, ზეპირი პრეზენტაცია ტრიბუნასთან ან საჯაროდ;						
6. სოციალური უნარები: პერსონალური ურთიერთობა ხელმძღვანელთან და თანამშრომელთან და გუნდის სხვა						

წევრებთან, მათ შორის მოსმენის კულტურა და პატივისცემა.						
	1	2	3	4	5	ა/გ
	არ არის დამაკამაყო-ფილებელი		შეესაბამება მოლოდინს		ბრწყინვალე	
7ა. სხვა პრაქტიკული უნარები: კლიენტებთან ინტერვიუ და კონსულტაცია;						
7ბ. სხვა პრაქტიკული უნარები: ფატების მოძიების, მოლაპარაკებების წარმოების და ადვოკატირების უნარები;						
8. პროფესიული ეთიკა: ეთიკური ქცევა, პოტენციური ეთიკური პრობლემების აღქმის უნარი, კონფიდენციალობის დაცვა, პროფესიული ეთიკის წესების დაცვა;						
9. პროფესიონალიზმი და სამუშაო ეთიკა: თანამშრომლობის უნარი, კონსტრუქციული კრიტიკის მიღების უნარი, სანდოობა, დროის მართვის უნარი, ანგარიშვალდებულება, მოწესრიგებულობა, ეფექტიანობა, დროულად სამუშაოს შესრულების უნარი						

ნარატიული შეფასება: იყავით მაქსიმალურად კონკრეტული და კონსტრუქციულად კრიტიკული სტუდენტის შეფასებისას. შეგიძლიათ მიუთითოთ სფერო, რომლის გაუმჯობესებაზეც თქვენი აზრით უნდა იმუშაოს სტუდენტმა. ასევე გთხოვთ მიუთითეთ იურიდიული პრაქტიკის დროს სტუდენტი რამდენად იჩენდა ინტერესს და მოგმართავდათ საქმიანობისას გთხოვდათ მიმართულების განსაზღვრას.

_____

_____

_____

ხელმძღვანელის ხელმოწერა: ---------- თარიღი: ----------

დანართი N 10
იურიდიული პრაქტიკის პროგრამა
პრაქტიკის სერტიფიკატი

სტუდენტი ----------

იურიდიული პრაქტიკის ტიპი: პრატიკა ---------- სტაჟირება ----------

ათვისებული კრედიტების რაოდენობა -----

ხელმძღვანელი ----------

კოორდინატორი ----------

ხელმძღვანელის დასტური

ვადასტურებ, რომ ჩემი ხელმძღვანელობით სტუდენტმა შეასრულა მინიმალური სამუშაო დროის მოთხოვნები და იმუშავა ---- საათი, ანაზღაურების გარეშე. (გთხოვთ ასევე გაგვიზიარეთ იურიდიულ პრაქტიკაზე სტუდენტთან თანმაშრომლობის გამოცდილების შესახებ კომენტარები და მოსაზრებები.)

ხელმოწერა ---------- თარიღი ----------

სტუდენტის დასტური

ვადასტურებ, რომ შევასრულე მინიმალური სამუშაო დროის მოთხოვნები და ანაზღაურების გარეშე ვიმუშავე ---- საათი.

ხელმოწერა ---------- თარიღი ----------

კოორდინატორის დასტური

ვადასტურებ, რომ სტუდენტმა შეასრულა იურიდიული პრაქტიკის კურსით კრედიტის მოპოვებისთვის დადგენილი ყველა მოთხოვნა.

ხელმოწერა ---------- თარიღი ----------

დანართი N 11

რესპონდენტის შესახებ

სახელი, გვარი:

პოზიცია:

ორგანიზაციის დასახელება:

ტელეფონის ნომერი:

ელ.ფოსტა:

წარმოსადგენი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში):

- იურიდიული პრაქტიკის კურსების ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- უნივერსიტეტების ჩამონათვალი რომლებთანაც არსებობს პრაქტიკის ან სტაჟირების პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის გამოცდილება;
- პრაქტიკის/სტაჟირების პროგრამის შეფასების ფორმა;
- პრაქტიკის/სტაჟირების პროგრამის ანგარიშის შეფასების კრიტერიუმები;
- სტატისტიკური მონაცემები (რამდენმა სტუდენტმა გაიარა პროგრამა, რამდენი სტუდენტი დასაქმდა).

შეკითხვები

<u>**პროგრამის ზოგადი აღწერა, მიზანი და ისტორია**</u>

- აღწერეთ უნივერსიტეტების საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამასთან სტაჟირების/პრაქტიკის მიმართულებით თანამშრომლობის გამოცდილება?
- რა მიზანი აქვს სტაჟირების პროგრამას?
- როგორ შეაფასებთ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის თქვენს გამოცდილებას ?
- რამდენმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა სტაჟირების პროგრამაში?
- სტაჟირების პროგრამის გარდა რა ფორმატები არსებობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის თქვენს ორგანიზაციაში და როგორი გამოცდილება გაქვთ ამ მიმართულებით?
- სტაჟირების პროგრამა რით განსხვავდება სხვა პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსებისგან?
- უნივერსიტეტების გარდა სხვა რომელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობთ სტაჟირების პროგრამის ფარგლებში?
- რამდენად თანამშრომლობს საჯარო სამსახურის ბიურო უნივერსიტეტებთან? როგორია ეს გამოცდილება?

<u>პროგრამის კონკრეტული მიზნები და ამოცანები</u>

- კონკრეტულად, სტუდენტის რა უნარების გავითარებას ისახავს მიზნად სტაჟირების პროგრამა თქვენს ორგანიზაციაში?
- რა კომპეტენციების განვითარებაში ეხმარება სტაჟირების პროგრამა სტუდენტებს?
- რამდენად ხდება სოციალური უნარების განვითარება სტაჟირების პროგრამაში და როგორ ხდება ამ უნარების შეფასება?
- რამდენად ხდება პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება სტაჟირების პროგრამაში?
- პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით შექმნილ სხვა კურსებთან შედარებით რა კომპეტენციების განვითარებაში ეხმარება სტაჟირების პროგრამა სტუდენტს?
- რამდენად არის საჭირო სტაჟირების პროგრამების განხორციელება უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით?
- რამდენად არის თქვენი პროგრამები სტუდენტის ცოდნას და საჭიროებებს მორგებული?
- რა საჯარო მიზნების განხორციელებას ისახავს პროგრამა მიზნად?
- კიდევ, სხვა რა მიზნები აქვს პროგრამას, რაზეც არ გვისაუბრია?
- რა შედეგზე უნდა გავიდეს სტუდენტი სტაჟირების პროგრამის საფუძველზე?

<u>პროგრამის შინაარსი</u>

- როგორ განსაზღვრავთ სტაჟირების პროგრამის შინაარსს?
- უნივერსიტეტებთან თანამშრომლობთ სტაჟირების პროგრამის განსაზღვრისას და ერთობლივად თანხმდებით პროგრამის შინაარსზე?
- ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ სტაჟირების ინდივიდუალური ან/და სტანდარტული პროგრამები?
- რა წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობისთვის?
- რა სამუშაო დატვირთვა აქვს სტუდენტს სტაჟირების პროგრამის ფარგლებში ?

<u>სტუდენტის ინფორმირება სტაჟირების პროგრამაზე და შესაფერისი პროგრამის შერჩევა</u>

- როგორ ხდება სტუდენტის ინფორმირება სტაჟირების პროგრამის თაობაზე და მისი პროგრამაში ჩართვა ?

- ატარებთ თუ არა სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრებს სტაჟირების პროგრამის შესახებ? დადებითი პასუხის შემთხვევაში:
    - -ინდივიდუალური/ჯგუფური შეხვედრა?
    - -რა მიზანი აქვს შეხვედრას?
    - -რა შინაარსისაა შეხვედრა?
- ხდება თუ არა წინასწარ სტუდენტის ინტერესების განსაზღვრა და პროფესიული კონსულტაცია?
- სტუდენტს აქვს მოსამზადებელი პროგრამა/ტრეინინგი? რა არის ასეთი ტრეინინგის მიზანი?
- არსებობს ონლაინ/დამატებითი სპეციალური მოდულები, რომელიც ემსახურება სტაჟირებისთვის მომზადებას?

<u>სტუდენტის ცოდნის აღიარება და შეფასება</u>

- როგორ ხდება სტაჟირების დროს მიღებული ცოდნის აღიარება და შეფასება?
- სტუდენტს სტაჟირების პროგრამაში შესაძლებელია სასწავლო კრედიტის მოპოვება ?
- სტუდენტს ჰყავს მენტორი/ზედამხედველი ორგანიზაციაში? ვინ არიან მენტორები?
- ვინ აფასებს სტუდენტის შრომას? არსებობს შეფასების კრიტერიუმები? რას ენიჭება მნიშვნელობა? არსებობს შემფასებლის მიმართ მოთხოვნები? არსებობს შეფასების სპეციალური ფორმები? არსებობს პროგრამის მიხედვით ინდივიდუალური შეფასების ფორმები? როგორ განისაზღვრება შეფასების კრიტერიუმები განსხვავებული პროგრამებისთვის? თუ არსებობს ერთიანი შეფასების სისტემა?
- სტუდენტი ამზადებს პერიოდულ ანგარიშებს? მიმდინარეობისას რამდენად ინტენსიურია მენტორთან სტუდენტის უკუკავშირი? სტუდენტი ამზადებს რეფლექსიურ ანგარიშს ორგანიზაციისთვის? არსებობს სპეციალური ფორმა, რომელიც უნდა შეავსოს სტუდენტმა და სადაც იგი აფასებს მიღებულ გამოცდილებას?
- სტაჟირების ზედამხედველს უნივერსიტეტსა და ორგანიზაციაში ერთმანეთთან აქვთ კომუნიკაცია? რა არის მათი ერთობლივი მიზანი?
- რამდენად ხდება სტაჟირების პროგრამაში ჩართული სტუდენტის მიერ საკუთარი საქმიანობის შეფასების უნარების განვითარება ? რა მექანიზმის არსებობს ამისთვის?

<u>სტაჟირების პროგრამის ორგანიზაციული მხარე</u>

- როგორ ხდება სტუდენტის შერჩევა სტაჟირების პროგრამაში? რა ეტაპები უნდა გაიაროს სტუდენტმა სტაჟირების პროგრამაში მოსახვედრად?
- აცხადებთ თუ არა ღია კონკურსს სტაჟირებისთვის?
- სტუდენტი თვითონ ირჩევს პროგრამას თუ ადმინისტრატორი არჩევს?
- ხდება სტუდენტის ინტერესის განსაზღვრა? როგორ ხდება? არსებობს სპეციალური ფორმები, რომლებსაც იყენებთ?
- როგორ ხდება ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ? არსებობს ფორმალური შეთანხმებები ორგანიზაციებთან და მენტორებთან?
- სტუდენტი აწარმოებს საკუთარი შრომის აღრიცხვას?

<u>დამატებითი საკითხები</u>

- სტაჟირების პროგრამა რამდენად უწყობს თქვენი აზრით ხელს სტუდენტების დასაქმებას ზოგადად?
- სტაჟირების პროგრამა რამდენად უწყობს ხელს სტუდენტის კარიერული მიზნების ფორმირებასა და სწორედ განსაზღვრაში?
- რამდენად არიან უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ჩართული სტაჟირების პროგრამებში? რა როლი აქვთ მათ?
- რამდენად ექცევა ყურადღება სტაჟირების პროგრამაში პროფესიული ეთიკის საკითხებს?
- შეგიძლიათ გაიხსენოთ სტაჟირების პროგრამის საუკეთესო მაგალითები თქვენს ორგანიზაციაში?
- რამდენად ურჩევნია ხოლმე ორგანიზაციას, რომ ვაკანტურ პოზიციაზე აიყვანოს ამავე ორგანიზაციაში სტაჟირება გავლილი კადრი?
- უხდის თუ არა ხელფასს ორგანიზაცია სტაჟიორს?
- რა ტიპის დავალებებს აძლევს მენტორი სტაჟიორს?
- დაგყავთ თუ არა სტაჟიორი სასამართლო სხდომებზე? შეხვედრებზე?
- სტაჟიორს უწევს თქვენი ორგანიზაციისთვის ანგარიშის წარდგენა? რა პერიოდულობით?

დანართი N 12

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ჩამონათვალი

საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს შესაბამისი ორგანიზაციების შემდეგმა წარმომადგენლებმა:

- ეკატერინე ქარდავა - საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი;
- ირინა აღაპიშვილი - საჯარო სამსახურის ბიუროს მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
- შორენა ირემაძე - საქართველოს პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრის (სამმართველო) მრჩეველი;
- ლევან მაისურაძე - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- მანანა მათუაშვილი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
- თინათინ ცინარიძე - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მთავარი იურისტი;
- ნატო ლომთათიძე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მენეჯერი;
- სალომე ტყეშელაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციის უფროსი;
- თამარ ხუბულური – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტი;
- ირაკლი კორძახია - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი“, კორძახია ჟღენტი” - პარტნიორი;
- გულიკო მჭედლიშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევისა და ანალიზის ცენტრის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კონსულტანტი;

კერძო დამსაქმებლების წარმომადგენლებიდან ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს შესაბამისი ორგანიზაციების შემდეგმა წარმომადგენლებმა:

- დავით კაპანაძე – იურიდიული ფირმა “LPA” დამფუძნებელი და პარტნიორი
- ვანო გოგელია - PwC საქართველოს იურიდიული სამსახური უფროსი;
- ელენე სულხანიშვილი – EY საქართველოს იურიდიული განყოფილების უფროსი კონსულტანტი;
- გიორგი გოცირიძე – “საია”,საკონსტიტუციო სამართალწარმოების იურისტი;
- ანა ქოჩიაშვილი - იურიდიული ფირმა „MG Law“, უფროსი იურისტი;
- ირაკლი კორძახია, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია;

დანართი N13

უნივერსიტეტების წარმომადგენლების ჩამონათვალი

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა:

- შავი ზღვის უნივერსიტეტის (IBSU) ასოცირებულ პროფესორთან, სამართლის საბაკალავრო და შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორთან, ვახტანგ ზაალიშვილთან;
- კავკასიის სამართლის სკოლის (CSL) დეკანთან, სოფიო შენგელიასთან და კავკასიის სამართლის სკოლის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელთან, არჩილ ბორჯაძესთან;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, ლევან ჯაყელთან და სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ომარ ფარტენაძესთან;
- თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კოორდინატორთან, ნანა სანებლიძესთან;
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლის პროგრამის კორდინატორთან, ანა ქირიასთან;

დანართი N14

საქართველოს პროკურატურის

სტაჟიორის შეფასების ფორმა

სტაჟიორის სახელი და გვარი:	
პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფის /პროკურატურის ორგანოს დასახელება:	
სტაჟირების ხელმძღვანელი:	
უშუალო ხელმძღვანელი პირები, რომლებთანაც იყო სტაჟიორი ანგარიშვალდებული:	
გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს შეფასებაზე:	

ზოგადი კომპეტენციების შეფასება

1 – მიუღებელი	2 – საშუალოზე დაბალი	3 – კომპეტენტური	4 – ძალიან კარგი	5 – აჭარბებს მოლოდინს

	1	2	3	4	5
პასუხისმგებლობის გრძნობა შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
ადაპტაციის უნარი – მოქნილობა შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
ანალიტიკური აზროვნება შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐

დროის განაწილების და წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის დაცვა შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
ორგანიზებულობის ხარისხი მოვალეობების შესრულებისას შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
ინიციატივა შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
დაკვირვების უნარი შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
გუნდური მუშაობის უნარი შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
შესრულებული სამუშაოს ხარისხი შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
არგუმენტაციის უნარი შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐

პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება

1 – მიუღებელი	2 – საშუალოზე დაბალი	3 – კომპეტენტური	4 – ძალიან კარგი	5 – აჭარბებს მოლოდინს

	1	2	3	4	5
გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის უნარი შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების უნარი შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐
სასამართლო პროცესებში მონაწილეობის უნარი შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐

საპროცესო დოკუმენტების შედგენის უნარი შენიშვნა:	☐	☐	☐	☐	☐

სტატისტიკური ინფორმაცია სტაჟიორის საქმიანობის შესახებ	
კატეგორია	რაოდენობა
გამოძიებული სისხლის სამართლის საქმეები	
სისხლის სამართლის საქმეები, რომელზეც საპროცესო ხელმძღვანელობა განახორციელა	
საპროცესო შეთანხმებები	
არსებითი სასამართლო განხილვები	
საჩივარი-განცხადებები	

სტაჟიორის ზოგადი შეფასება				
1 – მიუღებელი	2 – საშუალოზე დაბალი	3 – კომპეტენტური	4 – ძალიან კარგი	5 – აჭარბებს მოლოდინს
☐	☐	☐	☐	☐

ხელმძღვანელის კომენტარი გთხოვთ დეტალური კომენტარი გააკეთოთ სტაჟიორის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით (სავალდებულო)

სტაჟირების ხელმძღვანელის ხელმოწერა:	თარიღი: